ბაღლინა მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

15 დეკემბერი შაბათი 2012 №297 (13 903) ფასი 80 თეთრი

არის სოლიდარობა, სად არის სოლიდურობა?!

ჩიხურას რუსთავში მძიმე თამაში ელის

დღეს საქართველოს ჩემპიონატის გადადებული ტურია. მაშინ, როცა „მეტალურგი“ და „ჩიხურა“ ექვსეულისთვის შეერკინებიან, ფავორიტი „დილასა“ და აუტსაიდერი „ბათუმის“ მატჩი 5 წუთის დაგვიანებით დაიწყება. მიზეზი - სოლიდარობა, გუნდები თანადგომას უცხადებენ სამთავრობო დაფინანსებაზე მყოფ „კოლხეთსა“ და „ზუგდიდს“, რომლებიც მძიმე ფინანსურ კრიზისში არიან.

სოლიდარობა კარგია, მაგრამ სად არის სოლიდურობა? ნუთუ ის დრო არ წავიდა, გუნდები შუა სეზონში რომ იშლებოდნენ?!

მესი VS ფალკაო

ევროპული ფეხბურთი

დიდი მაჯრები

სტადიო ოლიმპიკო, კამპ ნოუ

ოლოლოლ სტუმარი

ვალერ სხირტლადი



ფეხბურთი ჩემი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრია.

იმ თამაშზე გავიპარეთ ბიჭები. მეორე დღეს ვიოლინოს მასწავლებელმა ისეთი დღე მაყარა, კინალამ მუსიკას ჩამოვშორდი.

ოჯახის წევრები და მეზობლები რომ არ გამელვიძებინა, დილაუთენია სამზარეულოში შევედი, დიდხანს ვიფორიაქე და ბოლოს მელოდიად გადმოილვარა ჩემი გულის ძახილი.

მაშინდელი სიხარული და სიამაყე დღემდე მომყვება. ამიტომაც, ვფიქრობ, სპორტს მეტი მიხედვა და დახმარება სჭირდება, რომ ამგვარი წუთები ხშირად განვიცადოთ

ოლიმპიადა

რუსთავიდან „ოლიმპმა“, ქუთაისიდან „შსს აკადემიამ“ ორ-ორი ქულა წაიღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XX ტურის წინათქმა

საახალწლო ბაგალიების წინ

უმაღლეს ლიგაში მე-20 ტური, წესით, 12 დეკემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ "ზესტაფონში" წარმოქმნილმა პრობლემებმა და "ჩიხურა"-"ზესტაფონის" გადადებამ კალენდარში იძულებითი კორექტივები შეიტანა - ტური დღეისთვის გადმოიტანეს. ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებამდე სამოდე სათამაშო დღეა დარჩენილი და დაძაბულობაც მატულობს. "ზამთრის ჩემპიონი", ფაქტობრივად, გარკვეულია, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ მიმდინარე ჩემპიონატის ფორმატით, პირველი ეტაპის ქულები გუნდებს მეორე ეტაპზე სრულად გადაჰყვებათ, მოდუნებულს ვერც თბილისის "დინამოს" ვიხილავთ და ვერც სხვა უმაღლესლიგელებს.

ისევ ეძვსეულების შესახებ

დღეისთვის კი მთავარი შეკითხვა ის არის, როგორ დაკომპლექტდება საუკეთესო ექვსეული. ორი ვაკანტური ადგილისთვის სამნი, "ზუგდიდი", "ზესტაფონი" და "მეტალურგი" იბრძვიან. ამ რბოლის გამოკვეთილი ფავორიტი "ზუგდიდია", რომელსაც მიზნამდე ბევრი აღარაფერი აშორებს. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდს მძიმე კალენდარი აქვს დარჩენილი ("დინამო", "ზესტაფონი", "მეტალურგი"), სჯობს, ნაადრევი დასკვნების გაკეთებისგან თავი შევიკავოთ.

აი "ზესტაფონსა" და "მეტალურგს" შორის კი მართლაც მძაფრ კონკურენციას უნდა ველოდოთ. ბუნებრივია, ბევრი რამის გარკვევა დღესვე შეიძლება. საქართველოს მოქმედი ჩემპიონი ვიცე-ჩემპიონს ორი ქულით უსწრებს და დღეს შედარებით იოლი მატჩი ელის. ასე რომ, ყველაფერი ზესტაფონელთა ხელშია, რომლებიც დღეს პირველად ითამაშებენ **კახა კაჭარავას** ხელმძღვანელობით.

სწორედ მისი დანიშვნით დასრულდა "ზესტაფონის" ბანაკში ბოლო დღეებში მომხდარი არცთუ სასიამოვნო ამბები. შეგახსენებთ, კაჭარავა იმერულ კლუბში პირველი ეტაპის ბოლომდე მწვრთნელ-კონსულტანტის ფუნქციებს შეასრულებს და ამის შემდეგ გადაწყდება, გააგრძელებს თუ არა იგი "ზესტაფონთან" თანამშრომლობას.

როგორც უკვე ვთქვით, დღეს "მეტალურგს" ჰყავს კონკურენტზე ძლიერი მეტოქე, სამაგიეროდ, პირველი ეტაპის დარჩენილ ორ ტურში რუსთაველებს უფრო ხელსაყრელი კალენდარი აქვთ – თანარეგიონელ "სიონს" თბილისში ეთამაშებიან, ბოლოს კი "ზუგდიდს" მასპინძლობენ. ფეროელები ჯერ "ზუგდიდს" ესტუმრებიან, ბოლო ტურში კი თბილისს "დინამოს" მიიღებენ.

ყოველივე ეს კი ზეექვსეულისთვის ბრძოლას ძალიან დამაინტრიგებელს და ყოვლად არაპროგნოზირებადს ხდის.

www.fczestafoni.ge — კახა კაჭარავა

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში, "მეტალურგი" "ზესტაფონზე" მაღლა აღმოჩნდება, რადგან მასთან ურთიერთშეხვედრებში ოთხ ქულას მოუყარა თავი.

რასაკვირველია, "სიონი" და "ჩიხურა" დღესაც საკუთარი მიზნისთვის იბრძოლებენ. ბოლნისელები ზესტაფონში უიმედოდ სულაც არ ჩადიან – ბოლოს და ბოლოს, სიონელებს წინ უდევთ "ვიტ ჯორჯიას" მაგალითი. ვეტერინარებმა ხომ რამდენიმე დღის წინ "დავით აბაშიძეზე" სამი ქულა მოიპოვეს.

"ჩიხურა" კი დამაჯერებლად ინარჩუნებს ადგილს ლიდერთა ჯგუფში და ქულათა მარაგის გაზრდას დღესაც შეეცდება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტურის ცენტრალური მატჩი სწორედ რუსთავის "ფოლადზე" გაიმართება, სადაც ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი.

დინამო სტატისტიკის გასაუმჯობესებლად

იმის მიუხედავად, რომ ზუგდიდურ გუნდს არაერთხელ მოუხერხებია თბილისის "დინამოსთან" შედეგიანი თამაში და ქულები ამ სეზონშიც აართვა, ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ "დინამო არენაზე" გასამართი შეხვედრის უპირობო ფავორიტად **დუშან უჰრინის** გუნდი მივიჩნიოთ. თუმცა, რასაკვირველია, "ზუგდიდი" უშანსოდ არც დღეს იქნება იმის მიუხედავად, რომ ბოლო დროს გახშირდა ხმები ამ გუნდის ფინანსური პრობლემების შესახებ.

იმედი დავიტოვოთ, რომ არც "ზუგდიდს" და არც სხვა უმაღლესლიგელებს მალე მსგავსი გასაჭირი აღარ შეაწუხებთ და ფეხბურთელებს საშუალება მიეცემათ, მხოლოდ საკუთარ საქმეზე იყვნენ კონცენტრირებულნი და ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე არ მოუწევთ ზრუნვა.

ყოველთვის ცუდია, როცა შედეგიანად მოთამაშე გუნდს დაშლის საფრთხე ემუქრება, უფრო უსიამოვნო კი ის იქნება, ზეექვსეულში შესულმა უმაღლესლიგელმა რომ ვერ შეძლოს არსებობის ამჟამინდელი სახით გაგრძელება და სეზონი მოვალეობის მოხდის მიზნით ჩამთავროს. იმედია, მსგავსი რამ არ მოხდება.

"დინამოს" შთამბეჭდავი სვლა კი გრძელდება – საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბს ამ სეზონში მატჩში საშუალოდ სამი გოლი გააქვს და ვნახოთ, შეძლებს თუ ვერა ამ მაჩვენებლის შენარჩუნებას.

ცალკე ინტრიგაა ბომბარდირთა დავა, რომელშიც დინამოელები ფიგურირებენ. წინა ტურში **ჩისკომ ჯაბა დვალს** გადაასწრო და საინტერესოა, რას მოიმქმედებს წინა ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი ესპანელი თანაგუნდელის დასაწევად.

დინამოს მდევრების ამოცანა

წინა ტურში შინ "ტორპედოსთან" განცდილმა მარცხმა "დილა" ერთგვარად ჩრდილში მოაქცია, თუმცა **გიორგი დარასელიას** გუნდი კვლავ განაგრძობს ჩემპიონობისთვის ბრძოლას და პირველი ეტაპის დარჩენილ მატჩებში ქულათა მაქსიმუმის მოპოვებას ეშურება.

გორელთა მორიგი მეტოქე ბათუმის "დინამოა", რომელმაც წინა ტურში "კოლხეთთან" მოპოვებული სამი ქულით უმაღლეს ლიგაში დარჩენის გარკვეული შანსი გაიჩინა და დღესაც შეეცდება, საკუთარ მონაგარს რაიმე შემატოს.

"ვიტ ჯორჯია" ქუთაისში ჩადის და ვნახოთ, შეძლებს თუ არა კიდევ ერთი ფავორიტის გამწარებას. ტორპედოელები კი გორში გამარჯვების შემდეგ აშკარად ამაღლებულ განწყობაზე არიან და მიზნად მორიგი სამი ქულის მოპოვება დაუსახავთ. ამ შეხვედრას დამატებით ინტერესს ის ფაქტი სძენს, რომ "ტორპედოს" ღირსებას არაერთი ყოფილი ვიტელი იცავს.

დისკვალიფიკაციის გამო ქუთაისელებს ვერ დაეხმარება **ელგუჯა გრიგალაშვილი**, რომელიც, მოგეხსენებათ, **გია გეგუჩაძის** გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

წინა ტურის მსგავსად, "მეგრული დერბი" დღესაც გაიმართება, ამჯერად, "მერანსა" და "კოლხეთს" შორის. სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ ამ შეხვედრას ბევრი რამის გადაწყვეტა შეუძლია. ფოთელებს უმაღლეს ლიგაში სასწაული თუ დატოვებთ, მარტვილელებს კი აშკარად უფრო სჭირდებათ სამი ქულა.

ეგეგ, თოვლმა გვაცალოს

ბოლოს ამინდსაც შევეხოთ, რაც ასე აქტუალური იყო წინა ჩემპიონატში. გეხსომებათ, დიდთოვლობამ გასულ სეზონს მნიშვნელოვანი დაღი დაასვა და კალენდარი, ლამის, თავიდან შესადგენი გახდა. სტიქიამ ნოემბრის მატჩებიც კი ჩაშალა, ხოლო ზამთარში კიდევ უფრო მძიმე კვალი დაატყო უმაღლეს ლიგას.

საბედნიეროდ, ნოემბერი და ნახევარი დეკემბერი უთოვლოდ "გადავაგორეთ" და იმედია, პირველი ეტაპის გეგმისამებრ ჩამთავრება მოხერხდება. ახლა ისღა დაგვრჩენია ვისურვოთ - თუ ეს ზამთარიც წინასავით მკაცრი იქნება, დიდთოვლობა ჩემპიონატში გამოცხადებულ პაუზას მაინც დაემთხვეს.

ლევან ჯანეზაშვილი

15.12. რუსთავი. ფოლადი. 14:00
მეტალურგი-ჩიხურა
ურთიერთშეხვედრები:
3 მატჩი, 2 მოგება, 0 ფრე, 1 წაგება. გურ. 9-1
დისკვალიფიკაცია:
არავინ

15.12. სამტრედია. ე.მანჯგალაძე. 14:00
მერანი-კოლხეთი
ურთიერთშეხვედრები:
5 მატჩი, 2 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება. გურ. 3-4
დისკვალიფიკაცია:
მერანი - კუჭუხიძე; კოლხეთი - გოგონაია, ფარულავა, კილასონია

15.12. ქობულეთი. ჩელე-არენა 14:00
დინამო (ბთ)-დილა
ურთიერთშეხვედრები:
42 მატჩი, 23 მოგება, 11 ფრე, 8 წაგება. გურ. 65-26
დისკვალიფიკაცია:
დინამო - ი.კვეკვესკირი; დილა - ლეონარდო

15.12. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 16:00
ზესტაფონი-სიონი
ურთიერთშეხვედრები:
24 მატჩი, 14 მოგება, 6 ფრე, 4 წაგება. გურ. 30-9
დისკვალიფიკაცია:
ზესტაფონი - არავინ; სიონი - ხუგუა

15.12. ქუთაისი. ცენტრალური. 16:00
ტორპედო-ვიტ ჯორჯია
ურთიერთშეხვედრები:
33 მატჩი, 12 მოგება, 14 ფრე, 7 წაგება. გურ. 35-26
დისკვალიფიკაცია:
ტორპედო - ე.გრიგალაშვილი; ვიტ ჯორჯია - არავინ

15.12. თბილისი. დინამო არენა. 18:00
დინამო (თბ)-ზუგდიდი
ურთიერთშეხვედრები:
18 მატჩი, 11 მოგება, 5 ფრე, 2 წაგება. გურ. 36-13
დისკვალიფიკაცია: არავინ
LIVE. რეპორტაჟი მეორე არხზე

● კონტაქტები

დილა ევროპულად შეიმოსება

გორის "დილას" მესვეურები საგაისოდ აქედანვე აქტიურად ემზადებიან. გუშინ გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში ამ გუნდის მომავალი სეზონის ეკიპირების წარდგენა მოხდა. შიდა ქართლელთა გუნდის ახალი სპორტული ფორმის მწარმოებელი არის შვეიცარიული ფირმა Gpard, რომელთანაც „დილა" ლიხტენშტეინურმა Sports Factory–მ დააკავშირა. ფორმის წარდგენასთან ერთად, Sports Factory–ს ერთ-ერთ დამფუძნებელ **მაკა ფანჯიკიძესა** და „დილას" დირექტორ **ზურაბ დალაქიშვილს** შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობის ხელშეკრულებას. ლიხტენშტეინური კომპანიის დამფუძნებელი ქალბატონ მაკას გარდა არის მისი მეუღლე **ვოლფგანგ ალთეიდესი** და ყოფილი ფეხბურთელი **მარიო ფრიკი**. სწორედ ვოლფგანგ ალთეიდესისა და კლუბის მენეჯერ **გია ისიანის** რამდენიმე წლის წინანდელი ნაცნობობა უკანასკნელ ხანს გადაიზარდა საქმიან ურთიერთობაში და შვეიცარიულმა კომპანიამ თანხმობა გამოთქვა გორული კლუბისთვის სპონსორების მოძიების საქმეში მხარდაჭერაზე. „ჩვენს კლუბთან „სპორტს ფექტორის" თანამშრომლობის პირველი შედეგი ფირმა Gpard–თან დადებული ხელშეკრულებაა, რომელიც „დილას" მომავალი სეზონიდან სპორტული ფორმით უზრუნველყოფს. ბევრისთვის ალბათ უცნობია ეს ფირმა, რადგან იგი ჯერ მხოლოდ ერთი წელია, რაც არსებობს, მაგრამ მას უკვე აქვს ჩამოყალიბებული სახე და რაც მთავარია, კარგი ხარისხი" - თქვა გია ისიანმა. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ ქალბატონმა მაკა ფანჯიკიძემ გორის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ერთ გუნდს საჩუქრად გადასცა Gpard –ის საფეხბურთო ფორმა. კლუბის ხელმძღვანელებმა კი აღნიშნეს, რომ სხვა სპონსორების მოძიებისთვის მუშაობაც გაგრძელდება. „ერთი წელია, რაც გორის „დილას" ძლიერ კლუბად ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო. გარკვეული შედეგი ჩვენი გუნდის მიერ საქართველოს თასის მოპოვებით და დღესდღეობით ქვეყნის ჩემპიონობისათვის ბრძოლის გათვალისწინებით გარკვეულწილად სახეზეა. ახალი ტექნიკური სპონსორის გამოჩენა სამომავლოდ სასიკეთოდ წაადგება გუნდის კეთილდღეობას. მადლობას ვუხდით ყველას, ვინც გვერდში გვიდგას" - ამბობს კლუბის დირექტორი ზურაბ დალაქიშვილი. გია ისიანმა კი ბოლოს დასძინა: „ყველა ინვესტიციის შედეგი, რომელიც კლუბში განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მეშვეობით - სახეზეა. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს ურთიერთობა გაგრძელდება. ამასთან გულხელდაკრეფილიც არ ვდგავართ და ვცდილობთ ახალი სპონსორების მოძიებას, რათა კლუბის კიდევ უფრო წინსვლა და ევროპული დონის კლუბებთან მიახლოება მოხდეს".

მარცხნიდან: „დილას" მენეჯერი გია ისიანი, „სპორტს ფექტორის" დამფუძნებელი მაკა ფანჯიკიძე და „დილას" დირექტორი ზურაბ დალაქიშვილი

ვასილ ბალახაძე
გორიდან
დავით ასპანიძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სიტუაცია

ურთიერთობას სამართლებრივად გავაგრძელებთო

დინამომ გოგიტა გოგუას დაბრუნება გადაიფიქრა

"ლელოს" გუშინდელ ნომერში გოგიტა გოგუამ განაცხადა, რომ გორის "დილასთან" იჯარა უმთავრდება, მაგრამ თბილისის "დინამოში" დაბრუნებას არ აპირებს, მიზეზად კი კლუბის პრეზიდენტ რომან ფიფიასთან კონფლიქტი დაასახელა. ამის შესახებ კომენტარი "დინამოს" დირექტორმა სანდრო შახოვმა გააკეთა.

გოგიტა გოგუა (მარჯვნივ) ნინა სეზონში თბილისის დინამოში თამაშობდა

"გავეცანი გოგუას ინტერვიუს და გაკვირვებული ვარ - მისი საქმისადმი მიდგომით და თბილისის "დინამოს" მიმართ უმადურობითაც. ადამიანმა, რომელსაც თავისი კარიერის უმეტეს ნაწილში კონფლიქტები არ ელევა მწვრთნელებთან თუ კლუბის ხელმძღვანელებთან, დროა, საკუთარ თავში ჩაიხედოს და მიზეზებიც იქ ეძებოს, ვიდრე მუდმივად სხვებზე აკეთებდეს აქცენტს. სამწუხაროა, როდესაც ნიჭიერი ფეხბურთელი საკუთარი არასწორი მიდგომების გამო თავადაც იუარესებს კარიერას და ამავდროულად კლუბისთვისაც უსარგებლო ხდება.

მინდა აღვნიშნო, რომ "დინამო" კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ყველა ვალდებულებას ფეხბურთელებისა და თანამშრომლების მიმართ. დღეს შექმნილი ვითარება არის ძალზედ ჯანსაღი. სამწუხაროდ, არსებობენ გამონაკლისები, რომლებიც ვერ ჯდებიან ამდაგვარ გარემოში, ვინაიდან მათ, სავარაუდოდ, სხვა მიზნები ამოძრავებთ.

გოგუას გორის "დილაში" განათხოვრება ფეხბურთელის ინტერესებიდან გამომდინარე მოხდა, რათა მწვრთნელებთან და სხვებთან მუდმივი კონფლიქტების ფონზე, სათამაშო პრაქტიკა ჰქონოდა. მოგეხსენებათ, კლუბმა საქართველოს პირობაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი დახარჯა როგორც მის ჩამოყვანაზე, ასევე მისი პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე (გოგიტა გოგუა "დინამოში" და საერთოდ, საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ქართველი ფეხბურთელი გახლავთ) და ბუნებრივია, მისი განვითარებით დაინტერესებული იყო. ჩვენ ასევე განვიხილავდით გოგუას დაბრუნებას.

თუმცა, მის მიერ გაჟღერებული მოსაზრებების შემდეგ, ბუნებრივია, რომ გოგუას გუნდში დაბრუნებას აზრი ეკარგება. შესაბამისად, "დინამო" ფეხბურთელთან გააგრძელებს სამართლებრივ ურთიერთობას, გამომდინარე ხელშეკრულების პირობებიდან, კლუბის ინტერესებიც დაცული რომ იყოს.

და ბოლოს: აბსოლუტურად გაუგებარია გოგუას პრეტენზიები "დინამოსა" და პირადად ბატონი რომან ფიფიას მიმართ, რომელთანაც დიდი ხნის განმავლობაში საერთოდ არ ულაპარაკია. ბატონი რომანი კურირებს კლუბის განვითარების ძირითად სტრატეგიებზე მუშაობას, ხოლო ყოველდღიურ საკითხებზე – კონკრეტული ხელმძღვანელობა.

სამწუხაროა მოვლენების ამდაგვარი განვითარება, თუმცა ამ ტიპის საკითხი საფეხბურთო ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია".

მერაბ მამულაშვილი

● არჩევნები

თბილისის ფედერაციას კვლავ ცაავა უთავკაცებს

ახალი ტურნირი: საფეხბურთო სკოლების ლიგა

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე თბილისის ფეხბურთის ფედერაციის (თფფ) VIII ყრილობა გაიმართა. საჭირო პროცედურების გავლის შემდეგ ტრიბუნა თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატებს დაუთმეს. მაგრამ "ლელოს" მკითხველისთვის ცნობილია, რომ განაცხადი მხოლოდ მოქმედმა პრეზიდენტმა, **გრიგოლ ცაავამ** წარადგინა.

ცაავამ გასული 4 წლის განმავლობაში განეულ მუშაობასა და განხორციელებულ პროექტებზე ილაპარაკა. მისი



გრიგოლ ცაავა

პრეზიდენტობის პერიოდში მასშტაბური გახდა თბილისის საერთაშორისო ბავშვთა ფეხბურთის ფესტივალი, ჩამოყალიბდა ელიტლიგა, შეიქმნა თბილისის ასაკობრივი ნაკრებები.

მან სამომავლო გეგმებიც წარადგინა: ცაავა საფეხბურთო სკოლების ლიგის დაფუძნებას აპირებს, სადაც ისინი უფროსი ასაკის ნაკრებებით წარდგებიან და არა ცალ-ცალკე გუნდებით. ვფიქრობთ, რომ ეს საკმაოდ საინტერესო და პერსპექტიული გადაწყვეტილებაა.

ცაავა ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს ფედერაციასთან მწვრთნელთა საბჭოს შექმნას, რომელიც თბილისის სკოლებში დასაქმებულ სპეციალისტებს თანამედროვე მეთოდიკით მოამარაგებს და დააწესებს მოთხოვნებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ, თავად ფედერაცია კი სკოლების მუშაობას გაუწევს მონიტორინგს.

თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს თფფ-ს ვიცე-პრეზიდენტმა **რევაზ მგელაძემ**, თფფ-ს საფინანსო მენეჯერმა **ზვიად წულუკიძემ**, **თენგიზ სულაქველიძე**-უმცროსმა, **გივი ნეფარიძემ** (საქართველოს უნივერსიტეტი), **გია მაისურაძემ** (მთვარის გლობუსი), **მურად ანჯაფარიძემ** (აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი), რის შემდეგაც გასულ ოთხწლედში თფფ-ს მუშაობა დადებითად შეაფასეს.

საარჩევნო პროცედურა სწრაფად დასრულდა და ხმის დამთვლელი კომისიის წევრმა **რომან შონიამ** გამოაცხადა, რომ გრიგოლ ცაავამ ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო. ასე რომ, ვეტერანი ფეხბურთელი თფფ-ს პრეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს.

თფფ-ს აღმასკომის წევრები გახდნენ: **გოჩა ავსაჯანიშვილი, ვახტანგ ბზიკაძე, ელგუჯა გუგუშვილი, მამუკა ელიკაშვილი, გია თავაძე, ოთარ კორღალიძე, რევაზ მგელაძე, გია მაისურაძე, კარლო მჭედლიძე, გივი ნეფარიძე, თენგიზ სულაქველიძე, მიხეილ ტყავაძე, ოთარ შენგელია, გრიგოლ ცაავა, რევაზ ძოძუაშვილი, გიორგი ჭილაია, მალხაზ კაკაურიძე, კახა კაშია, როლანდ ჩხაიძე.**

დელეგატებს სიტყვით მიმართეს ცნობილმა მწვრთნელმა **ელგუჯა გუგუშვილმა** ("ზოოვეტი"), საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** და ყრილობაც დასრულდა. სიჭინავამ განაცხადა, რომ ორგანიზაციას ბურთებით და სხვა საჭირო ატრიბუტიკით უზრუნველყოფს.

ყრილობის დასრულების შემდეგ გამოაცხადეს ყოველწლიური გამოკითხვის შედეგები: თბილისის საუკეთესო საფეხბურთო სკოლად აღიარეს "საბურთალო", საუკეთესო გუნდად **ლევან გვანცელაძის** გაწვრთნილი "დინამოს" აკადემია (1998 წელს დაბადებულები), საუკეთესო მწვრთნელად - **ვასილ მაისურაძე**, რომლის გაწვრთნილი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ოთხეულში მოხვდა.

ლაურეატებს თბილისის ფედერაცია საგანგებო პრიზებითა და საჩუქრებით წლის ბოლოს დაგეგმილ ტრადიციულ ღონისძიებაზე დააჯილდოვებს.

მერაბ მამულაშვილი

1000 კვირის წვრილმანი

დავით თავართქილაძე

სიტყვას დიდი ძალა აქვს

გოგუა სიმართლის გარკვევას ლაპარაკით ცდილობს

გოგიტა გოგუა ისევ გზაგასაყარზეა, ისევ აკეთებს მნვავე განცხადებებს და ისევ ამბობს, რომ ძალიან უნდა ნაკრებში თამაში.

გოგუა იმასაც ამბობს, რომ თუ საქმეს დასჭირდება, პირდაპირ ეთერშიც დავჯდები **რომან ფიფიასთან** თუ **თემურ ქეცბაიასთანო**.

არა მგონია, ასეთი დებატები გაიმართოს, თორემ ღმერთმანი, ძალიან კარგი შოუ გამოვიდოდა. მაგრამ ჩვენთან კლუბის პრეზიდენტი თუ ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ასეთ დებატებს არც ფეხბურთელთან გამართავს და არც არავისთან, ჩვენთან ამის კულტურა არ არსებობს, ტელედებატები მხოლოდ პოლიტიკოსებს შორის უნდა მოეწყოს.

ფეხბურთიც სანახაობაა და ვფიქრობ, რომ ამ სანახაობას სჭირდება გოგუასნაირი, არაორდინალური ფეხბურთელები.

გოგუას არაერთხელ მოსვლია კონფლიქტი, მაგრამ ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ის ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელი არ არის.

თავის დროზე გოგუა "დინამოდან" გაუშვეს, ეს მაშინ მოხდა, როცა კლუბში ხელმძღვანელობის მორიგი შეცვლა მიმდინარეობდა. გოგუა ფეხბურთისთვის თავის დანებებას აპირებდა. ცხონებული **ჯემალ ჩიმაკაძე** მიყვებოდა, გოგუა შოფრობით აპირებდა თავის გატანას, მაგრამ მის დარწმუნებას, მის ფეხბურთისკენ მიბრუნებას ვცდილობდი, ვეუბნებოდი, ეზოში მაინც ითამაშე ფეხბურთი, რომ ასე თუ ისე ფორმაში იყოო. ასეც მოხდა, "დინამოდან" გაშვებული გოგუა ჯერ "თბილისში" მოხვდა, მერე კი ეროვნულ ნაკრებში.

ეს ამბავი იმად გამახსენდა, რომ სიტყვას, გამხნევებას დიდი ძალა აქვს. რადგან გოგუას რამდენჯერმე მოუხდა კონფლიქტურ სიტუაციაში ყოფნა, ის არ უნდა იყოს ადვილად საურთიერთობო ფეხბურთელი, მაგრამ ფეხბურთის თამაში რომ შეუძლია, სადავო არც ეს უნდა გახდეს.

მწვრთნელიც მაგისთვის არის, რომ ყველა ფეხბურთელს მიუდგეს. ნაკრების მწვრთნელობა კიდევ უფრო რთულია იმ მხრივ, რომ მწვრთნელი პრეზიდენტს ვერ ეტყვის, ეს ფეხბურთელი მიყიდე, ეს ფეხბურთელი გუნდიდან უნდა გავუშვათ, ეს ფეხბურთელი სხვაგან უნდა გავანათხოვროთ...ნაკრებში სულ სხვა პასუხისმგებლობაა, არის მოცემულობა და მას ვერ გასცდები, არ გექნება შედეგი და პასუხიც უნდა აგო იმაზე, რომ ეს ფეხბურთელი არ გამოიძახე და მის მაგივრად გამოძახებულმა არ გაამართლა.

გოგუამ "ლელოსთან" ინტერვიუში **დავით სირაძის** ნაკრებში არგამოძახებაზეც ილაპარაკა. საქართველოს ნაკრები ცუდ შედეგს, სირაძის გოლით არაერთხელ დაუსხლტა მაგრამ ქეცბაიამ მას ნაკრების კარი მიუხურა. ქეცბაიას ფორმაციის ნაკრებს მეგოლე თავდამსხმელის დეფიციტი აქვს, მაგრამ მას პასუხს მაინც არავინ სთხოვს არც ამისთვის და არც ცუდი შედეგისთვის.

გოგუას არც **კლაუს ტოპმიოლერთან** ჰქონია შეხმატკბილებული ურთიერთობა. ის ასეთია და მორჩა, მაგრამ ფეხბურთს ასეთებიც თამაშობენ.

გოგუას ჰქონდა იმის შანსი, რომ "თბილისიდან" ამსტერდამის "აიაქსში" გადასულიყო, მაგრამ "ხიმკიში" მივიდა, რადგან ეს უკვე ნაღდი ვარიანტი იყო. დღეს ბევრი რუსული კლუბი ფინანსურად "აიაქსზე" ბევრად უფრო ძლიერია, მაგრამ ვინ იცის, გოგუა რომ ჯერ "აიაქსში" მოხვედრილიყო, იქნებ სულ სხვანაირად წარმართულიყო მისი ურთიერთობა მწვრთნელებთან. ევროპა ალბათ სულ სხვანაირად აყალიბებს ახალგაზრდა სპორტსმენის ფსიქოლოგიას, ვიდრე "ხიმკი" და დანარჩენი რუსეთი.

გოგუას ამბავი აუცილებლად გაგრძელდება, ის ჯერ 29 წლისაა და კიდევ აქვს საკმარისი დრო იმისთვის, რომ თავისი დაამტკიცოს როგორც საკლუბო, ისე სანაკრებო სარბიელზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

● იდეა

გავალამაზოთ საფეხბურთო სეზონი

ლეგიონერები ადგილობრივების წინააღმდეგ

ჩისკო

ლეგიონერთა სიმწირე

მცირე ხნის წინ 12-თა საბჭოს სხდომაზე ვწერდით: ამ შეკრებაზე ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღეს. კლუბების წარმომადგენლებმა მოიწონეს და ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ინიციატივას, რომ ამიერიდან უმაღლესლიგელებს სამი ლეგიონერის დამატებისთვის გადასახადი მოეხსნათ.

ალოგიკურია ლიმიტისა და გადასახადის დაწესება საქართველოში, სადაც თითზე ჩამოსათვლელი ლეგიონერია. ეს შეზღუდვები ისეთ ქვეყნებში წესდება, სადაც უცხოელთა სიჭარბესთან გამკლავებას, ადგილობრივი ბაზრის დაცვას და სათადარიგოთა სკამზე უხვად დარჩენილი საკუთარი მოთამაშეების ხელშეწყობას ცდილობენ.

მაგალითად, რუსული კლუბები ისე გამდიდრდნენ, ბევრგან ლეგიონერები ადგილობრივებს სჭარბობენ. ცნობისათვის, მოსკოვის "სპარტაკის" განაცხადში 51,9 პროცენტი ლეგიონერია. ასევე უმრავლესობაა რუსეთის პრემიერლიგის 16 გუნდიდან 7-ში. ამ კუთხით ლიდერი "კრასნოდარია", სადაც ეს ციფრი 57,7 პროცენტს შეადგენს, მთლიანად რუსეთის საფეხბურთო ლიგაში კი - 46 პროცენტს. ამის გამო გადაწყვიტეს, სავალდებულო წესით დაეკანონებინათ შემადგენლობაში მინიმუმ 4 ადგილობრივის თამაში.

საქართველოში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 6.9 პროცენტია, 12 გუნდს სულ 22 ლეგიონერი ჰყავს. ეს ციფრი გაცილებით უფრო მაღალია მოლდოვაში (34,2 %), ყაზახეთში (31,3 %), ლატვიაში (26,8 %), მალტაში (26,9 %), ბელარუსში (23,4 %), ლიტვაში (20,5 %), ესტონეთში (19,4 %), სომხეთში (11,4 %), აღარაფერს ვამბობთ კვიპროსსა (70,4 %) და აზერბაიჯანზე (39,4 %).

საქართველოში დინამო ლიდერობს

უმაღლეს ლიგაში ლეგიონერების მხრივ ლიდერი "დინამოა" (26,9 %). შემდეგ მოდიან "გაგრა" (21, 7%), გორის "დილა" (14,8 %), "ზესტაფონი" (11,5 %) და ბათუმის "დინამო" (10,3 %). საინტერესოა, რომ მეორე ადგილზე მყოფი "გაგრა" პირველ ლიგაში თამაშობს.

გადავხედოთ უმაღლესი ლიგის მაჩვენებლებს:

1. "დინამო"	26,9 %
2. "დილა"	14,8 %
3. "ზესტაფონი"	11,5 %
4. "ბათუმი"	10,3
5-6. "ზუგდიდი", "მერანი"	4,0–4,0 %
7. "მეტალურგი"	3,8 %
8. "სიონი"	3,7 %
9. "კოლხეთი"	3,6 %
10. "ვიტ ჯორჯია"	0 %
11. "ჩიხურა"	0 %
12. "ტორპედო"	0 %

ლეგიონერები საერთოდ არ ჰყავთ "ტორპედოს", "ჩიხურას", "ვიტ ჯორჯიას". რაც შეეხება "კოლხეთის", "მერანისა" და "სიონის" "ლეგიონერებს", ისინი უცხო ქვეყნის პასპორტის მქონე ქართველები არიან: **ამირან ნაბრია** (უკრაინა, "კოლხეთი"), **ლუკა ხომასურიძე** (საბერძნეთი, "კოლხეთი"), **გიორგი გაბისონია** (უკრაინა, "მერანი"), **რევაზ ჯიქია** (რუსეთი, "სიონი"). ასევე ლეგიონერად ითვლება ბათუმის "დინამოს" მარცხენა მცველი **ირაკლი კვეკვესკირი** - 20 წლის მცველი რუსეთის მოქალაქეა.

განაცხადში 3 ლეგიონერის უფასოდ შეყვანის საკითხს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის უახლოეს სხდომაზე განიხილავენ და დადებითი პასუხის შემთხვევაში ცვლილება 2013 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება. თუმცა, სიახლე პირველი და რეგიონული ლიგების კლუბებზე არ გავრცელდება: ადგილობრივი მოთამაშეების დასაქმებისა და გაზრდის მიზნით, ეს ბევრ ქვეყანაში მიღებული პრაქტიკაა - გერმანიაში, თურქეთში, ავსტრიაში...

სხვათა ტრადიცია

ახლა მთავარზე: მას შემდეგ, რაც პროფესიული ფეხბურთის ლიგა უფუნქციოდ დატოვეს, სეზონის საუკეთესო მოთამაშეების დაჯილდოების გალა-კონცერტი "დიაც" აღარ იმართება და ისედაც უფერული საფეხბურთო სეზონი კიდევ უფრო გაუფერულდა.

ცხადია, საფეხბურთო ჩემპიონატის პოპულარობა დამოკიდებულია მის დონეზე, მაგრამ ტრიბუნებზე მაყურებლის რაოდენობის გაზრდა შესაძლებელია ტურნირის გამუდმებული რეკლამით, აქციებით, ათასგვარი ღონისძიებით, რასაც პროფესიული ფეხბურთის ლიგის ყოფილი ხელმძღვანელობა ახერხებდა, არ ისვენებდა და ათასგვარი ხერხით გამუდმებით ცდილობდა ხალხის დაინტერესებას.

საფეხბურთო სეზონის გალამაზების ერთ-ერთი საშუალება ლეგიონერებისა და ადგილობრივებისგან დაკომპლექტებული ნაკრებების ყოველწლიური მატჩის გამართვაა. ასეთი ტრადიცია ბევრ ქვეყანაში დამკვიდრდა. მაგალითად, მოლდოვაში, სამხრეთ კორეაში, ლიტვაში, ლატვიაში, ყაზახეთში. ასეთ შეხვედრებში უთამაშიათ **გია კვარაცხელიას, მირზა მერლანს** (ორივეს - ლიტვაში), **დავით ჩაგელიშვილს** (ყაზახეთში), **ლევან კორღალიძეს** (მოლდოვაში). სამხრეთ კორეაში სიმბოლურ ნაკრებებს გულშემატკივრები ადგენენ, ზოგან - ფეხბურთის ფედერაცია ან პროფესიული ფეხბურთის ლიგა.

რა თქმა უნდა, არც ერთი ჩამოთვლილი ქვეყანა საფეხბურთო გრანდი არ არის, მაგრამ ამ ქვეყნებში ადგილობრივი ჩემპიონატის პოპულარიზაციას ცდილობენ და მათი გამოცდილება ამიტომ არის საინტერესო. სწორედ ამ დროს ხდება სეზონის საუკეთესო მოთამაშეების, მათ შორის, ლეგიონერების დაჯილდოება.

რატომაც არა?

საქართველოში ლეგიონერებს კარგად არც ვიცნობთ. "დიას" მივიწყების შემდეგ ჩვენი ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეების გვარები მედიაში თუ გაჟღერდება, წლის ბოლოს კი ფედერაცია საუკეთესოებს დაასახელებს, ეს არის და ეს.

გაცილებით მეტია საჭირო. ლეგიონერებისა და ადგილობრივების ზემოთ ნახსენები მატჩის ჩატარებას წინ რა უდგას? ასე საფეხბურთო სეზონი გალამაზდება და გულშემატკივარი ბევრ მოთამაშეს გაიცნობს. საქართველოში კი საკმაოდ საინტერესო ფეხბურთელები ჩამოვიდნენ: უეფას თასის მფლობელი **ჩისკო**, ხორვატიის ნაკრების ყოფილი მეკარე **მარინ სკენდერი**, ლატვიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **ნათან ჟუნიორი.** სხვათა შორის, ბევრმა არც ის იცის, რომ პირველი ლიგის ცხინვალის "სპარტაკში" ვლადიკავკაზის "ალანია 2"-ის ყოფილი მეკარე **ალან ხალიევი** თამაშობს.

მოკლედ, ლეგიონერებისა და ადგილობრივების ნაკრებების შეხვედრა უინტერესო სანახავი არ უნდა იყოს და სურვილის შემთხვევაში, მისი ჩატარება სავსებით რეალურია. თუ ეს ფეხბურთის ფედერაციას არ სურს, პრემიერლიგის ინიციატორებს შანსი ექნებათ, ამ აქციით გულშემატკივრებს საკუთარი თავი და გემოვნება გააცნონ.

გადავხედოთ ლეგიონერთა სიას, სადაც პირველ ლიგაში მოასპარეზეთა გვარებსაც ამოიკითხავთ და დაგვეთანხმებით, მათი და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ქართველი მოთამაშეების შეხვედრა ბევრ მაყურებელს მიიზიდავს.

მეკარეები: **მარინ სკენდერი (ხორვატია, "დილა"), ივან ჰოსმანი (ხორვატია, "მეტალურგი"), ივან პიცანი (უკრაინა, "ბათუმი"), ანდრე ნონოსი (კამერუნი, "სასკო"), ალან ხალიევი (რუსეთი, „სპარტაკი").**



მარინ სკენდერი

მცველები: **დარკო გლიშიჩი (მაკედონია, "დინამო"), პატრიკ მილხრაუმი (გერმანია, "ზესტაფონი"), ამაუდ ჩუენსე ("გურია", კამერუნი), რენცო რადინა (ხორვატია/გერმანია, "გაგრა"), იუსიფ ჰაადი (განა, "ადელი"), ბოიმო ფრიდოლინი (კამერუნი, "ზუგდიდი"), ირაკლი კვეკვესკირი (რუსეთი, ბათუმის "დინამო").**

ნახევარმცველები: **კოტო (ესპანეთი, "დინამო"), ალვარო (ესპანეთი, "დინამო"), ჩისკო (ესპანეთი, "დინამო"), რობერტინიო (ბრაზილია, "დინამო"), ლეონარდო (ბრაზილია, "დილა"), მიხაილ გოროლიშვილი (რუსეთი, "დილა"), იგორ იელიჩი (სერბეთი, "ზესტაფონი"), ბენჟამინ ტეიდი (ნიგერია, "გაგრა"), ამირან ნაბრია (უკრაინა, "კოლხეთი"), ლუკა ხომასურიძე (საბერძნეთი, "კოლხეთი"), გიორგი გაბისონია (უკრაინა, "მერანი").**

თავდამსხმელები: **ჟუნიორი (ბრაზილია, "დილა"), ბოტი გოა (კოტ დივუარი, "ზესტაფონი"), ვლადიმერ ვოსკობოინიკოვი (ესტონეთი, "დინამო"), ალბერტ იაგუე (ესპანეთი, "დინამო"), ოლექსანდრ ტიმჩინინი (უკრაინა, "ბათუმი"), ტიერი კლოვისი (კოტ დივუარი, "ბათუმი"), უმარ მაგაჯი (ნიგერია, "გაგრა"), ჯონი ჯერემია (ნიგერია, "გაგრა"), რევაზ ჯიქია (რუსეთი, "სიონი").**

მწვრთნელები: **დუშან უჰრინი (ჩეხეთი, "დინამო"), ხერარდ სარაგოსა (ესპანეთი, "ლოკომოტივი").**

მერაბ მამულაშვილი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები

● ინტერვიუ

თორნიკე ბერიძე:

ახლა ჩვენთვის ყველა თამაში ფინალივითაა!

უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული ბათუმის „დინამო" ჯერჯერობით ქომაგების იმედებს ვერ ამართლებს, თუმცა ახალგაზრდული გუნდი ყველა შეხვედრაში მაქსიმუმს აკეთებს. ბათუმელებთან უეჭველ მოგებას ვერავინ გეგმავს. აქ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შარშანდელი პირველლიგელი, ფაქტობრივად, არც გაძლიერებულა და ამის მიუხედავად, ბათუმელებმა თბილისში „დინამოც" კი შეაშინეს, მოქმედ ჩემპიონ „ზესტაფონს" ერთხელაც არ მოაგებინეს, ხოლო ბოლო ტურში ფოთში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს. ამჟამად გუნდის ლაზარეთში 11 ფეხბურთელია. სწორედ გახშირებული ტრავმები და უიღბლობა მიაჩნია კლუბის ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელს, თორნიკე ბერიძეს იმის მიზეზად, რომ 12 ქულაზე მეტი არ აქვთ. მობურთალის თქმით, ყველაფრის მიუხედავად, გორის „დილასთან" სათამაშოდ მოსაგებად გავლენ. იგი იმაშიც დარწმუნებულია, რომ გუნდი, რომლის შემადგენლობაში უმაღლეს ლიგაში დებიუტი 16 წლის ასაკში ჰქონდა, დაქვეითებას გადაურჩება. „ლელომ" თორნიკე ბერიძეს რამდენიმე კითხვა დაუსვა:

თორნიკე ბერიძე

- თორნიკე, თბილისის „დინამოსთან" კარგი თამაშით კი გამოიჩინე თავი, მაგრამ უფრო ახლოს გაეცანი ფეხბურთის ქომაგებს.

- ფეხბურთის თამაში 7 წლისამ დავიწყე ბათუმში, „დინამოს" ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში, ჩემი პირველი მწვრთნელი გონერი ქორიძე გახლდათ. 11 წლისა უკვე თბილისის საფეხბურთო სკოლა „გრანდში" გადავედი კობა მჟავანაძესთან. შემდეგ მთელი გუნდი უკვე თბილისის „ლოკომოტივში" აღმოვჩნდით. 2006/07 წლების სეზონში 6 თვით ბათუმის „დინამოში" ჩავირიცხე, მაშინ უმაღლეს ლიგაში იყო კლუბი და სადებიუტო შეხვედრა 16 წლისას მქონდა. მალევე „ლოკომოტივში" დავბრუნდი, რომელიც ასევე უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა. თავიდან ტრავმა მივიღე, შემდეგ 18 წლამდე ვითამაშე ამ კლუბში და „ზესტაფონში" გადავედი - მაშინ გუნდს თემურ მახარაძე წვრთნიდა. 2009 წლიდან, ანუ სამი წელია, მშობლიურ გუნდში დავბრუნდი.

- წინა სეზონში ბათუმის „დინამოს" უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაში დაეხმარე, თუმცა ელიტლიგაში ძალიან გაგიჭირდათ. რა არის ამის მიზეზი?

- ალბათ, უფრო გამოცდილი ფეხბურთელების ნაკლებობა. ფაქტობრივად, ყველა ახალგაზრდა ვართ. წინა სეზონის შემდეგ, სერიოზულად არც გავძლიერებულვართ. თუმცა ვფიქრობ, რომ ასეთი ცუდი სატურნირო მდგომარეობა ნამდვილად არ გვექნებოდა, ამდენი უიღბლობა და ტრავმები რომ არა. ამჟამადაც ბევრი ტრავმირებული გვყავს. „სიონთან" ორივე შეხვედრა ბოლო წუთებზე და ორივეჯერ უიღბლობის გამო წავაგეთ - აქ, ბათუმში მსაჯებს აშკარა ჯარიმა გამორჩათ, ჩვენ გავჩერდით და ამით მეტოქემ ისარგებლა. უშუალო კონკურენტთან გავინირეთ ორივეჯერ, თორემ ახლა „სიონზე" წინ ვიქნებოდით. ასევე ბოლო წუთზე გაშვებული გოლით დავმარცხდით კიდევ ერთ პოტენციურ კონკურენტ „ვიტ ჯორჯიასთანაც".

- ამ სეზონში საუკეთესო მატჩი თბილისის „დინამოსთან" ჩაატარე...

- გეთანხმები, ასეა. „დინამოს" თბილისში ორი გოლი გავუტანე და მესამეს შეგდებაც შემეძლო, მაგრამ შანსი ვეღარ გამოვიყენე. ჩემი კარგი თამაში ნაგებამ დაჩრდილა და არ დავმარცხებულიყავით სხვას გაეტანა და თამაში არ წაგვეგო.

- გია გურულზე რას იტყვი?

- ძალიან კარგი ადამიანია და როგორც მწვრთნელი, თავისი საქმის პროფესიონალია. ასევე ითხოვს ჩვენგან, თუმც ყოველთვის ვერ ვახერხებთ მისი დავალებების შესრულებას. კარგია, რომ ფეხბურთელებსაც გვაჩვევს პროფესიონალიზმს.

- თორნიკე, ფლანგის ნახევარმცველი ხარ, თუმცა ხშირად შუისკენ იწევ და ზოგჯერ ფორვარდადაც გვევლინები. შენ სად გირჩევნია თამაში?

- უფრო შემტევი ნახევარმცველი ვარ, ფლანგის. მაგრამ ზოგჯერ მიწევს შუაში თამაში და „დინამოსთან" სულაც მეორე თავდამსხმელის პოზიციაზე ვითამაშე.

- ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაზე არ გიფიქრია?

- რა თქმა უნდა, ყველა ფეხბურთელის ოცნებაა, ეროვნულ გუნდში ითამაშოს. გამონაკლისი არც მე ვარ. 17-წლამდელებში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ვითამაშე, 19-წლამდელთა მწვრთნელსაც ვყავდი გამოძახებული და გამომიცდია, რა საამაყოა შენი ქვეყნის სახელით ასპარეზობა.

- კარიერის უცხოეთში გაგრძელებაზე რას იტყვი?

- ეს ჩემზეა დამოკიდებული, უამბიციო ფეხბურთელი ხომ ფეხბურთელი არაა. ვნახოთ, ჯერ ბათუმის „დინამოსთვის" უნდა დავიხარჯო, რომ ლიგაში დავრჩეთ.

- რას ფიქრობ, ამის რა შანსები გაქვთ და დარჩენილ თამაშებზე რას იტყვი?

- შანსი გვაქვს, განწირულები ნამდვილად არა ვართ. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ახლა ჩვენთვის ყველა შეხვედრა ფინალივითაა - გორის „დილასთან" ურთულესი მატჩი გველის. მიუხედავად იმისა, რომ ფრეც კარგი შედეგი იქნება, ჩვენ მაინც მოსაგებად გავალთ. შემდეგ „ვიტ ჯორჯიასთან" გვაქვს გასვლა და სახლში „ჩიხურასთან" - ამ ორ შეხვედრაში წარმატების მეტი შანსი გაგვაჩნია. მოკლედ, სამივე თამაშში მაქსიმუმს გავაკეთებთ, რომ მეორე ეტაპისთვის საქმე ცოტათი მაინც გავიიოლოთ.

მამუკა ძანთარია

დღეს

ჩელსი-საუთჰემპტონი გადაიდო

ნიუკასლი-სიტი 16:45

ტრავმა: ს. ტეილორი, რ. ტეილორი, ბენ არფა, ვუკჩიჩი, კაბაი, ობერტანი, გოსლინგი – როდუელი, რიჩარდსი, კოლაროვი, კომპანი
დისკვალიფიკაცია: ბერი (სიტ)

ბოლო 6 მაჯჩი

+1=0-5 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 128 თამაში: +51=32-45 (183-173)

ლივერპული-ასტონ ვილა 19:00

ტრავმა: ბორინი, კელი – სტივენსი, დანი, გარდნერი

ბოლო 6 მაჯჩი

+3=2-1 +1=3-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 160 თამაში: +78=35-47 (281-218)

იუნაიტედი-სანდერლენდი 19:00

ტრავმა: ანდერსონი, ნანი – კატერმოული, ბრაუნი

ბოლო 6 მაჯჩი

+5=0-1 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 112 თამაში: +52=27-33 (195-155)

ნორვიჩი-უიგანი 19:00

ტრავმა: კეინი, რადი – რამისი, უოტსონი

ბოლო 6 მაჯჩი

+3=3-0 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 4 თამაში: +1=3-0 (5-3)

ქუინზ პარკი-ფულჰემი 19:00

ტრავმა: სეზარი, ჯონსონი, ზამორა – ს. დევისი, რუისი

ბოლო 6 მაჯჩი

+0=3-3 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 6 თამაში: +0=1-5 (0-12)

სუოკ სიტი-ევერტონი 19:00

ტრავმა: უილსონი – ნივილი, ანიჩებე
დისკვალიფიკაცია: შოტონი (სტოკი)

ბოლო 6 მაჯჩი

+4=2-0 +2=3-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 84 თამაში: +25=25-34 (92-124)

ხვალ

ბოლტენჰემი-სუონსი 17:30

ტრავმა: დოუსონი, ბეილი, კაბული – ნ. ტეილორი

ბოლო 6 მაჯჩი

+3=0-3 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 6 თამაში: +3=1-2 (8-7)

ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი 20:00

ტრავმა: ფოსტერი – დიარა, კოლისონი, ვას ტე, კეროლი

ბოლო 6 მაჯჩი

+3=0-3 +2=3-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 64 თამაში: +29=12-23 (107-99)

ზეგ

რედინგი-არსენალი 00:00

ტრავმა: განტერი, კებე, მაკარტი – კოშელნი, დიაბი, ფაბიანსკი

ბოლო 6 მაჯჩი

+1=0-5 +2=3-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 6 თამაში: +0=0-6 (7-21)

შენიშვნა: + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იუნაიტედი	16	13	0	3	40-23	39
2. სიტი	16	9	6	1	30-14	33
3. ჩელსი	16	8	5	3	28-17	29
4. ევერტონი	16	6	8	2	27-20	26
5. ტოტენჰემი	16	8	2	6	29-25	26
6. ვესტ ბრომვიჩი	16	8	2	6	24-21	26
7. არსენალი	16	6	6	4	26-16	24
8. სუონსი	16	6	5	5	26-21	23
9. სტოკ სიტი	16	5	8	3	14-12	23
10. ლივერპული	16	5	7	4	22-20	22
11. ვესტ ჰემი	16	6	4	6	21-20	22
12. ნორვიჩი	16	5	7	4	17-24	22
13. ფულჰემი	16	5	5	6	27-27	20
14. ნიუკასლი	16	4	5	7	18-23	17
15. სანდერლენდი	16	3	7	6	17-21	16
16. საუთჰემპტონი	16	4	3	9	22-32	15
17. ასტონ ვილა	16	3	6	7	12-23	15
18. უიგანი	16	4	3	9	17-30	15
19. რედინგი	16	1	6	9	19-31	9
20. ქუინზ პარკი	16	0	7	9	13-29	7

ბომბარდირები: 12 - მიგელ მიჩუ (სუონსი), 11 - რონინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), 10 - ლუის სუარესი (ლივერპული), დემბა ბა (ნიუკასლი), 9 – ჯერმეინ დეფო (ტოტენჰემი)



დღეს სენტ ჯეიმს პარკზე რობერტო მანჩინის ბედი წყდება

იტალიელის დამოკლეს მახვილი

ჩემპიონებს ფეხის გადაბრუნების უფლება აღარ აქვთ

ტინ იოლის "ფულჰემი" დედაქალაქურ დერბიში არაფრის დამთმობი რომ არ არის, ალბათ ყველასთვის ცხადია, მით უფრო, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ორშაბათს "ნიუკასლს" მოუგო. ჩვენი პროგნოზი: შედეგიანი ფრე.

"სტოკ სიტი" ძალიან კარგ ფორმაშია. ანალოგიური კომპლიმენტი გვემეტება "ევერტონისთვისაც". ასე რომ, "ბრიტანია სტედიუმზე" უკომპრომისო ბრძოლას ველით. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ **ტონი პულისის** გუნდმა მერსისაიდელებს გადაასწროს. ძნელად წარმოგვიდგენია "მეთიხეების" მარცხი, თუნდაც იმიტომ, რომ შინ ისინი ჯერ კიდევ არ დამარცხებულან. შინაურ კედლებში უძლეველი პრემიერლიგას ორადორი გუნდი შემორჩა. "სტოკის" გარდა ასეთი მხოლოდ... "ევერტონია". ჩვენი პროგნოზი: მასპინძელთა მოგება ან ფრე.

"ტოტენჰემსა" და "სუონსის" ურთიერთშეხვედრათა მდიდარი ისტორია აქვთ, მაგრამ აქ ერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი: უმრავლესობა აქედან ქვედა დივიზიონების დონეზეა და ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდით თარიღდება. სტატისტიკაში კი მხოლოდ პროფესიულის სტატუსის მქონე გუნდების დაპირისპირებებია გათვალისწინებული. "დეზებს" ორი ლიდერი უბრუნდება – **ბენუა ასუ-ეკოტო** და **სკოტ პარკერი**. პირველი სულაც ძირითადში მოიაზრება. ჩვენი პროგნოზი: "ტოტენჰემის" გამარჯვება თუნდაც მინიმალური ანგარიშით.

"ვესტ ბრომვიჩი"-"ვესტ ჰემის" შეხვედრაში ერთმანეთზე უარეს ფორმაში მყოფი გუნდები შეეჭიდებიან. ვფიქრობთ, ზედიზედ სამი წაგების შემდეგ **სტივ კლარკის** შეგირდებმა ძალები უნდა მოიკრიბონ და "ჩაქუჩებთან" 3 ქულა აიღონ.

XVII ტურს ორშაბათს "რედინგი"-"არსენალის" მატჩი დაასრულებს. ინგლისურ პრესას თუ დაუჯერებთ, "მეთოფეთა" ბანაკში შიდა დაპირისპირებების გამო სიტუაცია საკმაოდ დაძაბულია. რამდენად აისახება ეს ყველაფერი ჩრდილოლონდონელთა თამაშის ხარისხზე, ამის პროგნოზი გვიჭირს.

ფიფას მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მიმდინარეობის გამო პრემიერლიგის მე-17 ტური არასრულად ჩატარდება. "ჩელსი"-"საუთჰემპტონის" დაპირისპირება მოგვიანებით გაიმართება, იქამდე კი, მოდი უქმეების დაპირისპირებებზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

ყველაზე დიდ ინტერესს "სენტ ჯეიმს პარკზე" "ნიუკასლისა" და "მანჩესტერ სიტის" მატჩი იპყრობს. მარტო იმიტომ კი არა, რომ მოქმედი ჩემპიონი მიმდინარე სეზონში ჯერჯერობით ხელმოცარული ამბიციურ გუნდს სტუმრობს, არამედ იმდაც, რომ "ქალაქელების" მიერ ქულის დაკარგვის შემთხვევაში არსებობს საფრთხე, **რობერტო მანჩინიმ** თანამდებობა დაკარგოს. ნამდვილად ვერ დავიწყებთ იმის მტკიცებას, თუ როგორ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან იტალიელის შეგირდები, თუმცა არ არის გამორიცხული, "ერთადერთი წაუგებელი გუნდის" სტატუსის მოშორების შემდეგ მათ თავი უფრო კომფორტულად იგრძნონ. ფავორიტი სწორედ სტუმარია. ისე არც **ალან პარდიუს** გუნდის ერთი ხელის მოსმით ჩამოწერა შეიძლება, რადგან "კაჭკაჭების" ამჟამინდელი მდგომარეობა მათ რეალურ პოტენციალს არ შეესაბამება. ჩვენი პროგნოზი ასეთია: შეხვედრა ფრედ დასრულდება, მაგრამ მანჩინის ჯერ არ მოხსნიან.

"ლივერპულმა" ჩემპიონატში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ზედიზედ ორი მატჩი მოიგო და ფანები უკვე ალაპარაკდნენ ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნების პერსპექტივაზე. ჩვენი აზრით, **ბრენდან როჯერსის** გუნდს ამის შანსი ნამდვილად აქვს, რადგან უახლოესი ტურების განმავლობაში მას ცხრილის ლიდერებთან შეხვედრები აღარ უნევს. შესაბამისად, ლიდერებთან მაქსიმალურად მიახლოება შეუძლია. გუნდს [illegible] **ლუის სუარესი**, [illegible] ჰემთან" შეხვედრა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. "ვილას" თამაშზე ძნელია წინასწარ რაიმეს თქმა. **პოლ ლამბერტის** გუნდი ხან მწვერვალზე ახერხებს ასვლას, ხანაც ჭაობში ეფლობა. ბირმინგემელებმა სამშაბათს ლიგის თასზე ერთი შეხედვით კარგ ფორმაში მყოფი "ნორვიჩი" გასვლაზე ჯვარს აცვეს (4:1). როგორ ხასიათზე გამოვლენ "ენფილდზე", ამას დღეს ვნახავთ. ჩვენი პროგნოზი: "ლივერპულმა" მინიმალური სხვაობით მაინც უნდა იმარჯვოს.

"მანჩესტერ იუნაიტედი" "სანდერლენდს" მასპინძლობს. "ეშმაკები" ისედაც ფავორიტები იქნებოდნენ და ამას ისიც ემატება, რომ სამშაბათს "კატებმა" "რედინგთან" გადადებულ მატჩში იმარჯვეს, რასაც დიდი ძალები შეალიეს. **მარტინ ონილის** გუნდში ერთი კარგი ამბავია: ხანგრძლივი მშრალი სერიის შემდეგ ისევ გაიტანა გუნდის ახალწვეულმა **სტივენ ფლეტჩერმა**, ხოლო როცა შოტლანდიელი ფორმაშია, მას ნებისმიერი დაცვა უნდა უფრთხოდეს. მით უფრო - "იუნაიტედის", რომელიც ნამდვილად არ გამოირჩევა საიმედოობით.

კრის ჰიუტონის "ნორვიჩის" 10-მატჩიან წაუგებელ სერიას წერტილი ლიგის თასზე "ასტონ ვილასთან" დაპირისპირებაში დაესვა. ეს შეხვედრა ზემოთ უკვე ვახსენეთ. ვნახოთ, როგორ გაუმკლავდებიან "იადონები" ფსიქოლოგიურ შოკს. მათ ნამდვილად აქვთ შანსი, ზედიზედ მეხუთე საშინაო მატჩში მოიპოვონ 3 ქულა და სახიფათო ზონას კიდევ უფრო დაშორდნენ.

"ქუინზ პარკის" პირველ სავარაუდო მოგებაზე ექსპერტები უკვე რამდენიმე ტურია ჩამოდიან ფსონს, მაგრამ "რეინჯერებს" საშველი არა და არ დაადგათ. მათ პრემიერლიგის ანტირეკორდი ჩემპიონატის სტარტზე მოუგებელი სერიისა უკვე დაამყარეს და აწი მას თავადვე თუ გააუმჯობესებენ. სხვა ასეთი ბედოვლათი ამ ეტაპზე არც არავინ გვეგულება. **ჰარი რედნაპს** წინა ტურების მსგავსად, როცა უშუალო კონკურენტებთან უნევდა ჭიდილი, ამჯერადაც უკომპრომისო მეტოქე ეყოლება. **მარ-**

ამბები

სტროუტმანის ძნელი არჩევანი

ჰოლანდიური პრესის ცნობით, "პსვ ეინდჰოვენის" 22 წლის ცენტრალური ნახევარმცველი **კევინ სტროუტმანი** იანვარში, ყველაზე გვიან კი სეზონის დასრულების შემდეგ, კარიერას პრემიერლიგაში განაგრძობს. ფეხბურთელს კლუბთან ხელშეკრულება 2016 წლის ივნისამდე აკავშირებს, ასე რომ, მსურველებს მასში მსუყე თანხის გაღება მოუწევთ. ნისლიან ალბიონზე მას "მანჩესტერ იუნაიტედი", "არსენალი", "ტოტენჰემი" და "ლივერპული" ინვევენ, კონტინენტზე კი მისი სამსახურით "მილანია" დაინტერესებული. თუმცა ფეხბურთელის აგენტის **ჩილ დეკერის** განცხადებით, მის კლიენტს სერია A-ს ვარიანტი არ ხიბლავს და უპირატესობას ჩვენს სიაში პირველ ორ კლუბს ანიჭებს.

კომპანი ფანების დასაცავად

მიუხედავად პრემიერლიგის XVI ტურში "ეტიჰადზე" მომხდარი ინციდენტისა, როცა "სიტის" ფანი მოედანზე გადაიჭრა და **რიო ფერდინანდზე** გაინია, "ქალაქელების" 25 წლის ბელგიელი კაპიტანი **ვენსან კომპანი** წინააღმდეგია საფეხბურთო ასოციაციის მაღალჩინოსანთა იდეისა, რომ "ყველაზე საშიში სექტორები" მოედნისგან ღობით გამოიყოს. *"იმედია, რაღაც ზომები იქნება მიღებული ფეხბურთელების უკეთ დასაცავად, რადგან ის, რაც ჩვენს სტადიონზე მოხდა, შეუძლებელია ვიხმეს მოსხონდეს. მაგრამ ღობეების აღმართვას მაინც არ ვემხრობი. გულშემატკივრებისადმი მსგავსი დამოკიდებულება გისოსებს შორის მოქცეული ველური ცხოველებისადმი დამოკიდებულებას არ უნდა დაემსგავსოს,"* – აცხადებს კომპანი.

ლემპარდის უკანასკნელი ლონდონური აკორდები

ფრენკ ლემპარდმა იაპონიაში გამართულ პრესკონფერენციაზე პრაქტიკულად დაადასტურა, რომ სეზონის ბოლოს "ჩელსიდან" წასვლას აპირებს, რადგან ხელშეკრულების გახანგრძლივებას მას უკვე აღარავინ სთავაზობს. აი, რას აცხადებს 34 ლის ვეტერანი: *"მოლაპარაკებები "ჩელსისთან" სამომავლო თანამშრომლობაზე არ მქონია. ყველაფერი მხოლოდ კლუბის გადასაწყვეტია. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ამ გუნდის ნაწილი ვარ. "სტემფორდ ბრიჯზე" ფანტასტიკური დრო გავატარე. როგორც იცით, მარადიული არაფერია, არადა, როგორ გვინდა ხოლმე, რომ ეს ასე იყოს. არ შევდივარ იმ კატეგორიის ფეხბურთელებს შორის, რომელთაც მშვიდად შეუძლიათ, მთელი სეზონი სათადარიგოთა სკამზე გაატარონ. ყოველთვის მინდა თამაში, რადგან ეს ჩემს ხასიათშია. იმისთვის, რომ "ჩელსის" მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო, ყველაფერს გავიღებ. წინასწარ ლაპარაკს არ ვაპირებ, თუმცა ვგრძნობ, რომ 2-3 წელიწადი კიდევ შემიძლია უმაღლეს დონეზე თამაში".*

კიდევ ერთი ბრალმა ნიუკასლში

"ნიუკასლს" გაურკვეველი დროით გუნდის ნახევარდაცვის ლიდერი **ატემ ბენ არფა** გამოაკლდა. 25 წლის ფეხბურთელს მუხლის მყესები აქვს დაზიანებული. "ცოტა უცნაური სიტუაციაა. ბენ არფას მუხლი საერთოდ არ აწუხებს, მაგრამ მყესების დაზიანება გეგმურმა სამედიცინო შემოწმებამ დაადაფიქსირა," – აცხადებს **ალან პარდიუ**.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიგილაშვილმა

უცხოური ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XVII ტურის წინ

XVII ტურის მთავარი მატჩი რომში გაიმართება, სადაც "ლაციოს" "ინტერი" ესტუმრება. სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში გუნდები იმდენად მჭიდროდ არიან განლაგებულნი, რომ თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის მატჩი ექვსი ქულისთვის...

დღეს

უდინეზე-პალერმო 21.00

დისკვალიფიკაცია: მორგანელა (პალერმო).

ტრავმა: პასკუალე - ერნანდესი, პასკუალი.

ბოლო 6 მატჩი

+2=3-1 +2=0-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 18 თამაში: +8=5-5, (29-18)

ლაციო-ინტერი 23.45

დისკვალიფიკაცია: კოზაკი, კავანდა (ლაციო).

ტრავმა: ფლოკარი, ედერსონი, ბროკი, სარატე, დიასი, როკი - სტანკოვიჩი, კოვუ, ობი, მუდინგაი.

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 44 თამაში: +13=18-13, (59-58)

ხვალ

ფიორენტინა-სიენა 15.30

დისკვალიფიკაცია: კუადრადო, ოლივერა - ვიტიელო, ტერეი.

ტრავმა: აგაცი, ლიაიჩი, კამპორეზე - ზე ედუარდო, კამპანიოლო.

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 14 თამაში: +7=4-3, (18-8)

მილანი-პესკარა 18.00

ტრავმა: პატო, ტრაორე, დიდაკ ვილა, ბონერა, დე იონგი - ბლაზი, კოშჩი, კოლუჩი, კაშონე.

ბოლო 6 მატჩი

+4=1-1 +2=0-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 0 თამაში: +0=0-0, (0-0)

კატანია-სამპდორია 18.00

დისკვალიფიკაცია: ალმირონი - გასტალდელო.

ტრავმა: სპოლი, ისკო, რიკიუტი, ბიავჯანტი, შაკა - მაქსი ლოპესი, მუნარი, ჟუან ანტონიო.

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 12 თამაში: +4=3-5, (12-13)

კიევო-რომა 18.00

დისკვალიფიკაცია: გუბერტი (რომა).

ტრავმა: მოსკარდელი, კრუსადო, ლუსიანო, ვაჩეკი, ფრეი, ვიოტი - ტალო.

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +5=0-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 20 თამაში: +1=9-10, (13-36)

ჯენოა-ტორინო 18.00

დისკვალიფიკაცია: სამპირიზი, კურკა (ჯენოა).

ტრავმა: პიშიტელა, ფერონეტი, ხორკერა, ანსელიმო, ბოვო - დიოპი, ოგბონა.

ბოლო 6 მატჩი

+1=0-5 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 18 თამაში: +7=6-5, (22-19)

იუვენტუსი-ატალანტა 18.00

დისკვალიფიკაცია: ბონუჩი (იუვენტუსი).

ტრავმა: ბენდტნერი, პეპე - ტროიზი, კაპელი, მარილუნგო.

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +3=0-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 26 თამაში: +18=6-2, (53-22)

პარმა-კალიარი 18.00

დისკვალიფიკაცია: პინილია (კალიარი).

ტრავმა: ძაკარდო, გალოპა - პერიკო.

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +0=2-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 26 თამაში: +12=6-8, (39-30)

ნაპოლი-ბოლონია 23.45

დისკვალიფიკაცია: სორენსენი (ბოლონია).

ტრავმა: პულეტი, აბერო, პაციენცა, აკვაფრესკა, კურჩი, პერესი, ხიმენესი, ლომბარდი, ნატალი (ბოლონია).

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 17 თამაში: +8=3-6, (25-27)

შენიშვნა: + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. იუვენტუსი	16	12	2	2	33-10	38
2. ინტერი	16	11	1	4	29-17	34
3. ნაპოლი	16	10	3	3	29-14	33
4. ლაციო	16	9	3	4	23-17	30
5. რომა	16	9	2	5	37-26	29
6. ფიორენტინა	16	8	5	3	29-18	29
7. მილანი	16	7	3	6	28-21	24
8. უდინეზე	16	5	7	4	24-24	22
9. კატანია	16	6	4	6	22-24	22
10. ატალანტა	16	7	2	7	17-23	21
11. პარმა	16	5	5	6	19-22	20
12. კიევო	16	5	3	8	19-27	18
13. სამპდორია	16	5	3	8	19-23	17
14. კალიარი	16	4	4	8	14-26	16
15. ბოლონია	16	4	3	9	17-20	15
16. ტორინო	16	3	7	6	17-21	15
17. პალერმო	16	3	5	8	14-23	14
18. პესკარა	16	4	2	10	12-30	14
19. ჯენოა	16	3	3	10	16-27	12
20. სიენა	16	4	5	7	15-20	11

შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.

ბომბარდირები: 13 – ელ შაარავი (მილანი); 11 - კავანი (ნაპოლი); 9 - კლოზე (ლაციო); 8 - ლამელა (რომა), დი ნატალე (უდინეზე), ოსვალდო (რომა).

ვალტერ სამუელს და იუტო ნაგატომოს ისევ მოუწევთ მიროსლავ კლოზეს შეჩერება

ოლიმპიკოზე ჩამოცხება

ინტერის კიდევ ერთი გამოცდა

წინა ტურში "ინტერმა" უშუალო კონკურენტი, "ნაპოლი" დაამარცხა და რომში ამაღლებული განწყობით ჩადის. თუმცა, ბევრი მიიჩნევს, რომ სამხრეთელებთან მილანურ გრანდს გაუმართლა და ის მატჩი მინიმუმ ფრედ, ან სულაც ნეაპოლელთა გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო. "ნერაძურიმ" უნდა დაამტკიცოს, რომ "იუვენტუსის" მთავარი კონკურენტი სწორედ ის არის და ამისთვის "ლაციოს" ძლევაა საჭირო.

"გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, **ანდრეა სტრამაჩონი** 3-4-2-1 ტაქტიკას აირჩევს, შეტევის წინა ხაზზე კი **დიეგო მილიტოს** გაამწესებს. არგენტინელი ფორვარდის უკან **ანტონიო კასანო** და **როდრიგო პალასიო** იმოქმედებენ, რაც იმის წინაპირობაა, რომ "ინტერი" შემტევ ფეხბურთს ითამაშებს. ძირითად შემადგენლობაში ბრუნდება **ვალტერ სამუელი**, რომელიც ჩვეულ პოზიციაზე, დაცვის ცენტრში გაირჯება - ნეაპოლელებთან მისი ადგილი **ესტებან კამბიასოს** ეკავა. ბევრისთვის მოულოდნელად, სასტარტოში არ მოიაზრება **ფრედი გუარინი**, რომელმაც წინა ტურში ულამაზესი გოლი გაიტანა. სტრამაჩონის თქმით, მისი გუნდი აუცილებლად შეუტევს და დანარჩენი უკვე მოედანზე გამოჩნდება.

"ლაციო" ტრადიციული ტაქტიკით გაირჯება, სადაც ერთადერთი და გამოკვეთილი ფორვარდი კარგ შემთხვევაში **მიროსლავ კლოზეა** და ცუდ შემთხვევაში - **ლიბორ კოზაკი**. ამჯერად, კლოზე ჯანზეა და "ინტერის" წინააღმდეგ პირველივე წუთებიდან ისასპარეზებს. მის უკან ტრადიციული ხუთეული იმოქმედებს, რომლებიც თანაბრად ანაწილებენ ძალებს დაცვით და შეტევით ფაზებზე. მთავარი ბრძოლა ალბათ ცენტრში გაჩაღდება, დანარჩენზე კი **ვლადიმირ პეტკოვიჩი** იტყვის:

"მილანური გრანდი კონტრშეტევებზე სახიფათოდ ირჯება, რაც "ნაპოლისთან" შეხვედრაში კარგად გამოჩნდა, ამიტომ ყურადღებით გვმართებს ყოფნა. პირველ ნომრად ვაპირებთ თამაშს და კონტრიერიშებზეც ამად ჩამოვაგდე სიტყვა. ვფიქრობ, შეგვწევს იმის ძალა, რომ საკმაოდ ძლიერ მეტოქეს ჩვენი თამაში მოვახვიოთ თავს. მიროსლავ კლოზე სრულიად ჯანმრთელია და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, "ინტერის" წინააღმდეგ აუცილებლად ითამაშებს".

საპარაულო შემადგენლობები

ლაციო (4-5-1): მარკეტი - კონკო, ბიავა, სიანი, რადუ - კანდრევა, ერნანესი, ლედესმა, გონსალესი, მაური - კლოზე.

ინტერი (3-4-2-1): ჰანდანოვიჩი - რანოკია, სამუელი, ჟესუს ჟუანი - ძანეტი, გარგანო, კამბიასო, ნაგატომო - ლასანო, პალასიო - მილიტო.

ვინ დაკარგავს ქულებს?

ზემოთ ლიდერთა ექვსეული ვახსენეთ, მაგრამ მეშვიდე ადგილზე ისეთი გუნდია, რომლის გვერდის ავლა რთული საქმეა. "მილანი" საკუთარ კედლებში "პესკარას" მასპინძლობს და რა თქმა უნდა, ნარმატებული სეზონის გაგრძელებას აპირებს. **ჯამპაოლო პაციენიმ** სათასო პაექრობაში გამოიჩინა თავი და ცენტრფორვარდის პოზიციაზე იმოქმედებს - ფლანგებიდან მას **სტეფან ელ შაარავი** და **კევინ პრინს ბოატენგი** დაეხმარებიან. თქმა არ უნდა, „მილანმა" უნდა მოიგოს ეს შეხვედრა და მორიგი სამი ქულა ჩაინეროს აქტივში.

ანალოგიური მისია აკისრია "ნაპოლის", რომელიც "ბოლონიას" უმასპინძლებს. მილანში განცდილი მარცხის შემდეგ, სამხრეთელები "იუვენტუსს" მთელი ხუთი ქულით ჩამორჩნენ და უკან დასახევი გზა არ აქვთ. როგორც ჩანს, **გორან პანდევი** ჯერ კიდევ ვერ არის ფორმაში, რადგან **ედინსონ კავანისთან** ერთად ძირითად შემადგენლობაში **ლორენცო ინსინიე** მოიაზრება. ნეაპოლელები პირველივე წუთებიდან შეასკდებიან მეტოქის კარს და ვნახოთ, რით დასრულდება ეს ყველაფერი.

"იუვენტუსიც" საკუთარ მოედანზე ითამაშებს, მეტოქედ კი "ატალანტა" ეყოლება. **ლეონარდო ბონუჩი** დისკვალიფიცირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ **ანტონიო კონტეს** დაცვის ცენტრში კვლავ ექსპერიმენტების ჩატარება მოუწევს... ამჯერად **ანდრეა ბარცალისთან** და **ჯორჯო კიელინისთან** ერთად **ლუკა მარონე** გაირჯება, რომელიც ნომინალური ნახევარმცველია. სათასო პაექრობაში დაშავებული **არტურო ვიდალი** თადარიგში დარჩება, მის ადგილს კი **პოლ პოგბა** დაიკავებს. ბოლოს, კონტეს მოკლე კომენტარს გავეცნოთ:

"ბერგამოელებს კარგად ორგანიზებული დაცვა ჰყავთ, რომლის გარღვევაც იოლი არ იქნება. ამიტომ შეტევით ფაზაში მაქსიმალური მრავალფეროვნება გვმართებს, რომ სასურველ მიზანს მივაღწიოთ. უშუალო კონკურენტები არასტაბილურად ასპარეზობენ და ამ ფონზე პოზიციების განმტკიცება უმნიშვნელოვანესია. რაც მთავარია, ფეხბურთელები მოტივირებულნი არიან, ეს კი ჩვენი წარმატების მთავარი ფორმულაა. დასვენებაზე ფიქრი ადრეა, წინ უმნიშვნელოვანესი ჯახები გველის".

იტალიის თასი. 1/8 ფინალი

ჯამპაოლო პაციენიმ "რეჯინას" მესამე გოლი გაუტანა

მილანი იუვეზე გავიდა

დიდი მატჩი მეოთხედფინალში

მილანი-რეჯინა 3:0

გოლები: 1:0 იუპესი (51), 2:0 ნიანგი (79), 3:0 პაცინი (81).

მილანი (4-3-3): აბიატი - აბატე, იუპესი (84. აჩერბი), საპატა, ანტონინი - ფლამინი, ემანუელსონი, შტრასერი (76. მუნტარი) - რობინიო (54. ნიანგი), ბოიანი, პაცინი.

იტალიის თასის მერვედფინალურ ეტაპზე, "მილანმა" სერია B-ს ბინადარი რეჯინა" მიიღო და მეტოქეს სამი უპასუხო ბურთი გაუტანა. ანგარიშიდანაც ჩანს, რომ **მასიმილიანო ალეგრის** გუნდმა უპრობლემოდ დაამარცხა მეტოქე და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც "იუვენტუსთან" მოუწევს შეტოქება. დიახ, ასეთ ადრეულ ეტაპზე იტალიური ფეხბურთის კლასიკას ვიხილავთ, ნახევარფინალში გამსვლელის ვინაობას კი ერთი მატჩი გადაწყვეტს.

რაც შეეხება "რეჯინასთან" პაექრობას, ალეგრიმ ნახევრად ექსპერიმენტული შემადგენლობა დააყენა და არც უნანია... ლომბარდიელებმა ლაღად ითამაშეს, აურაცხელი რაოდენობის მომენტი შექმნეს და გოლებიც ეფექტური შეაგდეს. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც **მარიო იუპესმა** თავური დარტყმით "როსონერი" წინ გაიყვანა. მეორე გოლი **მბაიე ნიანგის** ანგარიშზეა, რომელიც კიპერთან პირისპირ დარჩა და უზუსტესი დარტყმით ბურთი მეკარისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში მოათავსა. მესამე გოლი **ჯამპაოლო პაციენიმ** მიითვალა აქტივში, ახლო დისტანციიდან ცხრაინში გაჭედა ბურთი და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა, 3:0.

ნამატჩევს მასიმილიანო ალეგრი კმაყოფილი გახლდათ, თუმცა განვლილ მატჩზე ბევრი არაფერი უთქვამს... წინ "იუვენტუსთან" ჯახი გველის და იმედი მაქვს, ამ ბარიერსაც დავძლევთო.

გვერდი მოამზადა
ლაშა ნიკლაურმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XVII ტურის წინ

გუშინ

ბაიერნი-ბორუსია (მ) 1:1

გოლები: 0:1 მარქსი (21-პენ), 1:1 შაჩირი (59)

ბაიერნი (4-2-3-1): ნოიერი - ლამი, ბოატენგი, დანტე, ალაბა - მარტინესი (38. შაჩირი), შვაინშტაიგერი - მიულერი (80. პისარო), კროოსი, რიბერი - მანჯუკიჩი (57. გომესი).

ბორუსია მ. (4-4-2): ტერ შტეგენი - იანტჩკე, შტრანცლი, ბრაუერსი, ვენდტი - ჯიგერჯი, ნორდტვაიტი, მარქსი, არანგო - ჰერმანი (79. რუში), ჰანკე (75. დე კამარგო).

გაფრთხილება: დანტე - ნორდტვაიტი, ჯიგერჯი

კუთხური: 14-4; **ჯარიმა:** 20-17; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 21-2 (12-1); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

მაყურებელი: 71 000

დღეს

ლევერკუზენი-პაბურგი 18:30

დისკვალიფიკაცია: კარვახალი, რაინარტცი (ორივე ლევერკუზენი)

ტრავმა: კადლეცი, შვააბი, ტოპრაკი, ბელარაბი, სემი - იანსენი, ირაჩეკი, კაჩარი, ვან დერ ვაარტი

ბოლო 6 მაჯრი

+4=0-2 +3=2-1

ერთიერთშეხვედრები

სულ 66 თამაში: +22=19-25, (92:85)

ვოლფსბურგი-აინტრახტი 18:30

ტრავმა: პილარი, ჰელმესი - ამედიკი, ანდერსონი, ბუტშერი

ბოლო 6 მაჯრი

+3=2-1 +2=1-3

ერთიერთშეხვედრები

სულ 20 თამაში: +10=7-3, (32:24)

მაინცი-შტუტგარტი 18:30

დისკვალიფიკაცია: ვეტკლო, ნოვესკი - გ. საკაი, ტასკი

ტრავმა: ბუნგერტი, ჩუპო-მოტინგი - ჰუგლანდი, კვისტი, ოკაზაკი, კაკაუ, თორუნი

ბოლო 6 მაჯრი

+3=0-3 +4=0-2

ერთიერთშეხვედრები

სულ 12 თამაში: +2=3-7, (15:22)

ფიურტი-აუგსბურგი 18:30

დისკვალიფიკაცია: კლაინე, სარარერი (ორივე ფიურტი)

ტრავმა: ნდოიე, ტირალა - იენტტში, რაინჰარდტი, ვერეგი

ბოლო 6 მაჯრი

+0=1-5 +0=2-4

გუნდესლიგაში არ უთამაშიათ

ფორტუნა-კაინოვერი 18:30

დისკვალიფიკაცია: კრუსი (ფორტუნა)

ტრავმა: ბრუნო სუარესი, ლანგენეკე - ფელიპე, ანდრეასენი, შტინდლი

ბოლო 6 მაჯრი

+2=2-2 +3=0-3

ერთიერთშეხვედრები

სულ 12 თამაში: +7=2-3, (18:13)

შალკე-ფრაიბურგი 21:30

დისკვალიფიკაცია: ჯონსი (შალკე)

ტრავმა: პაპადოპულოსი - გინტერი, ჰიონი, მუიჯა, კალვენტე, ტერაცინო, ფრაისი

ბოლო 6 მაჯრი

+1=2-3 +3=2-1

ერთიერთშეხვედრები

სულ 26 თამაში: +11=5-10, (39:36)

ხვალ

პოფენჰაიმი-ბორუსია (დ) 18:30

დისკვალიფიკაცია: ბიტენკური (ბორუსია /დ/)

ტრავმა: ვიზე, კრისი, იაისლე, თესკერი, ვესტერგაარდი, მალბაშიჩი, ვუკჩევიჩი - ლიოვე, ოვომოიელა, ს. ბენდერი, კელი

ბოლო 6 მაჯრი

+0=1-5 +3=2-1

ერთიერთშეხვედრები

სულ 8 თამაში: +3=3-2, (10:8)

ვერდერი-ნიურნბერგი 20:30

ტრავმა: ბარგფრედე - შტეფანი, ჰლუშეკი, მენდლერი

ბოლო 6 მაჯრი

+2=1-3 +2=2-2

ერთიერთშეხვედრები

სულ 58 თამაში: +28=15-15, (105:80)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბაიერნი	17	13	3	1	44-7	42
2. ლევერკუზენი	16	9	3	4	30-22	30
3. ბორუსია (დ)	16	7	6	3	32-19	27
4. აინტრახტი	16	8	3	5	31-27	27
5. შალკე	16	7	4	5	26-22	25
6. ბორუსია (მ)	17	6	7	4	25-26	25
7. შტუტგარტი	16	7	4	5	20-25	25
8. ჰამბურგი	16	7	3	6	18-18	24
9. ფრაიბურგი	16	6	5	5	21-17	23
10. ჰანოვერი	16	7	2	7	31-29	23
11. მაინცი	16	7	2	7	21-20	23
12. ვერდერი	16	6	3	7	27-28	21
13. ნიურნბერგი	16	5	4	7	16-21	19
14. ვოლფსბურგი	16	5	4	7	17-25	19
15. ფორტუნა	16	4	6	6	18-21	18
16. ჰოფენჰაიმი	16	3	3	10	22-38	12
17. აუსბურგი	16	1	5	10	11-28	8
18. ფიურტი	16	1	5	10	10-27	8

ბომბარდირები: 10 – იბიშევიჩი (შტუტგარტი), კისლინგი (ლევერკუზენი), ა. მაიერი (აინტრახტი); 9 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), მანჯუკიჩი (ბაიერნი), თ. მიულერი (ბაიერნი), სალაი (მაინცი); 7 – დოსტი (ვოლფსბურგი).

ჰუუბ სტეგენსის („შალკეს“ მწვრთნელი) და კრისტიან შტრაიხის (ფრაიბურგი) დაპირისპირება საინტერესო იქნება

შეხვედრა აღლერთან და გადარჩენის ფინალი

პირველი წრის ბოლო ტური გვეტყვის, ვინ როგორ ხასიათზე გამოიზამთრებს

გერმანიის ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო, მე-17 ტური გუშინ ბუნდესლიგის კლასიკით დაიწყო. დღევანდელი შეხვედრებიდან ყველაზე დიდ ინტერესს „ლევერკუზენისა“ და „ჰამბურგის“ მატჩი იწვევს, რომელიც იმითაცაა საინტერესო, რომ რენე ადლერი ლევერკუზენში ბრუნდება და ყოფილი, მშობლიური კლუბის წინააღმდეგ ითამაშებს. დაძაბული იქნება „ფიურტისა“ და „აუგსბურგის“ დაპირისპირებაც, რაც გადარჩენისთვის ბრძოლის წინასწარ ფინალად უნდა შევრაცხოთ, რადგან ეს გუნდები აუტსაიდერები არიან და სხვებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან. ხვალ დორტმუნდის „ბორუსია“ უხერხულ მეტოქე „ჰოფენჰაიმს“ სტუმრობს, ბუნდესლიგის წლის ბოლო შეხვედრაში კი „ვერდერი“ ნიურნბერგს უმასპინძლებს.

აღლერის შეხვედრა წარსულთან

რენე ადლერი საფეხბურთო მსოფლიომ „ლევერკუზენიდან“ გაიცნო - დღეს უკვე 27 წლის მეკარე „ბაიერის“ ღირსებას 12 წლის მანძილზე იცავდა, გასულ ზაფხულს კი „ჰამბურგში“ გადავიდა, რადგან „ფარმაცევტებში“ ალმაცერად უყურებდნენ. მაგრამ რენე ჩრდილოგერმანულ კლუბში ძველებურად ათამაშდა, გერმანიის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და საქმე იქამდე მივიდა, რომ საფეხბურთო გერმანია მის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებაზეც კი ალაპარაკდა. სწორედ ასეთ დროს ჩადის რენე ლევერკუზენში.

ბრნყინვალე ფორმაში მყოფი რენე ადლერი მშობლიური ლევერკუზენის წინააღმდეგ ითამაშებს

„ამ მატჩს მოუთმენლად ველოდები. „ლევერკუზენთან“ დაპირისპირება ჩემთვის გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ ძველ მეგობრებთან შეხვედრა,“ - უთხრა რენემ „კიკერს“.

მეორე ადგილზე მყოფ „ლევერკუზენს“ დღეს დისკვალიფიცირებული **რაინარტცი** და **კარვახალი** დააკლდებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელებს **საშა ლევანდოვსკისა** და **სამი ჰიიპიას** იმპროვიზირება მოუწევთ.

ვოლფსბურგი და აინტრახტი ერთი მიზნისთვის იბრძვიან

შაბათის ცენტრალურ მატჩად „ლევერკუზენისა“ და „ჰამბურგის“ ჯახი შევრაცხეთ, მაგრამ შესაძლოა, ყველაზე კარგი საყურებელი „ვოლფსბურგისა“ და „აინტრახტის“ დაპირისპირება გამოვიდეს. დორტმუნდში მოგების (3:2) შემდეგ ვოლფსბურგელები კარგ ხასიათზე არიან და „აინტრახტის“ დამარცხებით პირველი წრის მაჟორულ ნოტაზე დამთავრება უნდათ. ასეთივე მიზანი ამოძრავებთ ფრანკფურტელებსაც, რომლებიც ასევე კარგ ხასიათზე არიან და კარგად ჩატარებული პირველი წრის გამარჯვებით დასრულება სურთ. ამ თამაშის მოგებამ „ვოლფების“ თავკაც **ლორენც-გიუნტერ კოსტნერს** შეიძლება სტატუსი შეუცვალოს და დროებითი მწვრთნელი მინიმუმ სეზონის ბოლომდე დატოვონ. პრინციპში, კოსტნერმა თავისი შესაძლებლობები უკვე დაამტკიცა იმით, რომ 8 მატჩში გუნდს იმაზე თითქმის სამჯერ მეტი ქულა მოაგროვებინა (14), ვიდრე წინამორბედმა **ფელიქს მაგათმა** (5) ამდენივე შეხვედრაში. ფრანკფურტელები კი მოგების შემთხვევაში ჩემპიონთა ლიგის ზონაში გამოზამთრებას გაინაღდებენ, რაც სერიოზული სენსაცია იქნება იმის ფონზე, რომ „აინტრახტი“ ელიტაში წელს დაბრუნდა.

მაინცი და შტუტგარტი ევროპას უმიზნეზენ

„მაინცისა“ და „შტუტგარტის“ მიზანი ამ სეზონში ევროსაგზურის მოპოვებაა და ამ ზონაში დასამკვიდრებლად, ორივეს გამარჯვება სჭირდება. შტუტგარტელთა თავკაც **ბრუნო ლაბადიას** საკადრო პრობლემები აქვს: **თორუნი** და **ოკაზაკი** ტრავმირებულები არიან, **ტასკი** და **საკაი** კი - დისკვალიფიცირებულები. თუმცა ასეთები „მაინცსაც“ ჰყავს - მეკარე **ვეტკლო** და დაცვის ბურჯი **ნოვესკი** დღევანდელ შეხვედრას სწორედ დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებენ.

აუტსაიდერთა ჯახი

ბოლოადგილოსანი ბოლოსწინა პოზიციაზე მყოფის წინააღმდეგ: „ფიურტისა“ და „აუგსბურგის“ დუელი გადარჩენისთვის ბრძოლის ერთგვარი ფინალია. ამ გუნდებს 8-8 ქულა აქვთ და უახლოეს გუნდ „ჰოფენჰაიმს“ 4-4 ქულით ჩამორჩებიან, ანუ, დღეს სამი ქულის მოპოვებას ორივე მომხვდურისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, დამარცხებული კი უნდა შეეგუოს იმას, რომ უმძიმეს სიტუაციაში აღმოჩნდება და გადარჩენის მიზერული შანსი შერჩება.

„ჩვენ ვიცით, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს შეხვედრა გადარჩენისთვის და მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გავალთ,“ - აცხადებს „ფიურტის“ თავკაცი **მაიკ ბიუსკენსი,** რომლის გუნდს 14-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს და 462 წუთია, გოლი არ გაუტანია. თუმცა ასეთივე განწყობა აქვთ აუგსბურგელებსაც.

ელიტის კიდევ ერთი ახალწვეული „ფორტუნა“ კი მშვიდად გამოიზამთრებს. მართალია, დიუსელდორფელები მე-15 ადგილზე არიან, რაც სახიფათო ზონასთან სიახლოვეს ნიშნავს, მაგრამ „ფორტუნას“ სარელეგაციო მე-16 ადგილამდე 6 ქულა აშორებს. დიუსელდორფელები დღეს „ჰანოვერს“ მასპინძლობენ და გამარჯვების შემთხვევაში „ფორტუნაში“ საშობაოდ ყველას საზეიმო განწყობა ექნება. მაგრამ ამბიციური „ჰანოვერის“ დამარცხება ძალიან ძნელია. „ნითლებში“ მწვრთნელმა **მირკო სლომკამ** ახალი კონტრაქტი გააფორმა და „ჰანოვერში“ 2016 წლამდე იმუშავებს.

ერენ დერდიოკის „ჰოფენჰაიმს“ ზედიზედ ხუთი წაგება აქვს. ხვალ „სოფლელები“ „დორტმუნდს“ უმასპინძლებენ

სტევენსის ბოლო შანსი?

გელზენკირხენში ამას ოფიციალურად არავინ ამბობს, მაგრამ არაოფიციალური ცნობებით, „შალკეს“ ბოსები ჰოლანდიელ მწვრთნელ **ჰუუბ სტევენსს** უკვე ეჭვის თვალით უყურებენ და დიდი შანსია, „ფრაიბურგთან“ პრინციპულ შეხვედრაში წარუმატებლობის შემთხვევაში გაათავისუფლონ. „შალკემ“ ბოლო ხუთ შეხვედრაში მხოლოდ ორი ქულა აიღო, რაც ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი კლუბისთვის კრიზისს ნიშნავს. თანაც, „შალკეს“ მეტოქეები ბოლო ტურებში უშუალო კონკურენტები იყვნენ. გელზენკირხენელთა ფორვარდი **კლაას-იან ჰუნტელაარი** ამბობს, კრიზისს რამდენიმე მიზეზი აქვსო, დაკონკრეტებისგან კი თავს იკავებს. ერთი სიტყვით, წლის ბოლოს „შალკეში“ ტრადიციული ქაოსია და ამის მიზეზი თავად ჰუნტელაარიცაა, რომელსაც ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, აფორმებს თუ არა გელზენკირხენულ კლუბთან ახალ კონტრაქტს.

„ფრაიბურგი“ კი ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის, რაც ბრაისგაუელებმა ამ სეზონში არაერთხელ დაამტკიცეს. თავად განსაჯეთ, 16 ტურის შემდეგ **კრისტიან შტრაიხის** გუნდს გასავარდნ ზონასთან არაფერი ესაქმება. მეტიც: „ფრაი“ საუკეთესო ექვსეულს უმიზნებს.

ჰოფენჰაიმი დორტმუნდისთვის უხერხული მეტოქეა

...მაგრამ ეს „ჰოფენჰაიმი“ ძალიან სუსტია და წესით, დორტმუნდელებს ზინსჰაიმიდან სამი ქულის წაღება არ უნდა გაუჭირდეთ. „სოფლელებმა“ ზედიზედ ხუთი თამაში წააგეს და ვერც მწვრთნელის გათავისუფლებამ უშველათ (0:2 ჰამბურგში). ახლა „ჰოფეს“ თავკაცი დროებით **ფრანკ კრამერია,** რომელიც ფიქრობს, რომ „ჰოფეს“ გერმანიის ჩემპიონთან წარმატების მიღწევის პოტენციალი აქვს, დორტმუნდელები კი „ვოლფსბურგთან“ მარცხის (2:3) შემდეგ განრისხებულები არიან და „ჰოფენჰაიმთან“ მხოლოდ სამი ქულის აღებას გეგმავენ. „ბორუსია“ პირველი წრის დასასრულს „ბაიერნთან“ 14-ქულიანი ჩამორჩენით ხვდება და კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** ამიტომაც თქვა, კმაყოფილების საფუძველი არ გვაქვსო. თუმცა იქვე დასძინა, თუ „ჰოფენჰაიმს“ მოვუგებთ, კმაყოფილი ვიქნებიო.

ბუნდესლიგის წლის ბოლო მატჩში კი ხვალ საღამოს ერთმანეთს „ვერდერი“ და „ნიურნბერგი“ დაუპირისპირდებიან. ეს გუნდები ცხრილში „არც იქით არიან და არც აქეთ“, რაც „ვერდერისთვის“ ცუდი, „ნიურნბერგისთვის“ კი მისაღები შედეგია.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

● ევროპეთი. ლიგა XVI ტურის წინ

დღეს

19:00 ხეთაფე-ბილბაო
დოსკალელოგაცია: ალეგანი (ბულგ)
გრაგა: სოლი (7), ნინო, ხისი, მარეფი (ინა)
ბრეინ 6 გაგრი
+3=1-2 +2=2-2
ბრალიკრიმეფეხეფრეკი
სულ 24 თამაში: +10=8-6, (29-18)

21:00 ბალენსია-ბორუსია
გრაგა: ბერეგოვი, ფ. ვიტტორი - ინოალი, ოლეი, ბერეგი
ბრეინ 6 გაგრი
+0=2-4 +3=1-2
ბრალიკრიმეფეხეფრეკი
სულ 34 თამაში: +13=7-14, (46-47)

23:00 ბრანდა-ლოსანჯელესი
გრაგა: ფ. ოლეო - ბერეგარა
ბრეინ 6 გაგრი
+1=1-4 +3=2-1
ბრალიკრიმეფეხეფრეკი
სულ 24 თამაში: +2=0-2, (7-7)

01:00 ლეგენეა-ბალაბა
გრაგა: მაფეოო, ტრობოლეკი - ბალბიმბა, ბუსალინი
ბრეინ 6 გაგრი
+1=2-3 +2=1-3
ბრალიკრიმეფეხეფრეკი
სულ 24 თამაში: +9=5-10, (32-32)

ხვალ

**15:00 სარაგოსა-ლევან

ლიერეთის ცეცხლმარი

ვაჟა აზარაშვილი

ნებისმიერ ქომაგს ჰკითხეთ, საქართველოში ფეხბურთის ჰიმნი რომელია-თქო და „დინამო-დინამოს“ დაგისახელებენ. ეს სიმღერა ოცდათექვსმეტი წელიწადია, გვესმის სტადიონებზე, რადიო-ტელევიზიაში და არ გვწყინდება, რადგან იგი სულის ამოძახილია. თუმცა, ახალი თაობის წარმომადგენელთაგან ცოტამ თუ იცის, რომ ამ შესანიშნავი სიმღერის ავტორი გახლავთ ცნობილი კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე ვაჟა აზარაშვილი — საქართველოს პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, რომელიც თერთმეტი წელიწადი საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს ხელმძღვანელობდა.



ჰანგად ქცეული გულის ხმა

ფეხბურთელთა თავყრილობაა და ვაჟა აზარაშვილიც იქ არის, მოჭიდავეებს აქვთ ზეიმი და იშვიათად, რომ ბატონი ვაჟა არ დაესწროს, მობილიარდეთა კიის ტრიალსაც სიამოვნებით ადევნებს თვალს... ყველგან სასურველი სტუმარია. არც არის გასაკვირი, რადგან სხვადასხვა თაობის ათლეტთა შორის ჰყავს გულითადი მეგობრები და, რაც მთავარია, თავდავიწყებამდე უყვარს სპორტი. გუშინ ბატონი ვაჟა ჩვენი სტუმარი გახლდათ.

— გაზეთ „ლელოსთან“ ურთიერთობა გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების მიწურულიდან მაკავშირებს. — გვითხრა ბატონმა ვაჟამ. — სტუდენტობისას ჩემმა უფროსმა მეგობარმა ოთარ ფირცხალავამ ფიზკულტურელებზე ლექსი დაწერა, რომელზეც სიმღერა შევქმენი. შემდეგ „ლელოში“ მივიტანეთ. მაშინდელმა რედაქტორმა ირაკლი უგულავამ ლექსი და მუსიკა მოიწონა და გაზეთში დაბეჭდა.

— ვიცით, რომ ფეხბურთი გიყვართ ძალიან...

— ფეხბურთი ჩემი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრია. ბავშვობისას მარჯანიშვილზე ვცხოვრობდი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი რომ განახლდა, ბიჭები არც ერთ თამაშს არ ვაცდენდით „დინამოს“ სტადიონზე. კარგად მახსოვს ქართული ფეხბურთის ჯადოქრების — ბორის პაიჭაძის, გაიოზ ჯეჯელავის, ავთანდილ ღოღობერიძის, მიხეილ ბერძენიშვილის, ასლან ხარბედიას და სხვათა თამაში.

ერთხელ, „დინამოს“ სტადიონზე ტოდოს გუნდმა საკავშირო ნაკრებს 1:0 მოუგო. იმ თამაშზე გავიპარეთ ბიჭები. მეორე დღეს ვიოლინოს მასწავლებელმა ისეთი დღე მაყარა, კინაღამ მუსიკას ჩამოვშორდი.

ვიყავი და ვრჩები „დინამოს“ ქომაგად. რამდენი სასახელო ბრძოლა გადაუხდიათ ჩვენს ბიჭებს. მართალია, საკავშირო სპორტკომიტეტი გასაქანს არ აძლევდა, მაგრამ 1946, 1947, 1950 წლებში დინამოელებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. 1951 წელს გათამაშების ცხრილში ერთი საფეხურით აიწიეს, აი, 1953 წელს სულაც ოქროს მედლები უნდა მიეღოთ, მაგრამ მოსკოვში ძალით წაართვეს ჩვენებს ჩემპიონობა. სამაგიეროდ, 1964 წელს ტაშკენტში კიდევ ერთი გადათამაშებისას ვერაფერი მოუხერხეს ქართველ ფეხბურთელებს. გახსოვთ, ალბათ, მესხისა და მეტრეველის თაობამ რა დღესასწაული გვაჩუქა. პირველად მაშინ გამოვიდა ხალხი ქუჩაში საზეიმოდ. 18 ოქტომბრის საღამოს თბილისის ყველა ეზოში პუმარილი იყო გაშლილი და თასებით ისმებოდა დინამოელთა სადღეგრძელო.

ჩვენმა ბიჭებმა მერეც არაერთხელ გვასახელეს. სამოცდაათიან წლებში დავით ყიფიანისა და მისი მეგობრების ერა დაიწყო, განსაკუთრებით 1976 წელი დამამახსოვრდა. მაშინ პირველად გაიმართა საბჭოთა კავშირის საგაზაფხულო და საშემოდგომო ჩემპიონატები. ჩვენმა დინამოელებმა შესანიშნავი მწვრთნელის - ნოდარ ახალკაცის ხელმძღვანელობით ორჯერვე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, რაც მთავარია, საკავშირო თასის ფინალში ერევნის „არარატი“ 3:0 დამამარცხეს და პირველად დაეუფლნენ საპატიო პრიზს.

— და მაშინ დაიწერა „დინამო-დინამო“...

— ჰო, იმ ფინალურ მატჩს მეზობელთან ვუყურებდი ტელევიზორში. მოგებამ ძლიერ გაგვახარა. გამარჯვება ქართული სუფრითაც აღვნიშნეთ, გვიანობამდე შევრჩით. ბავშვივით ვიყავი აღფრთოვანებული და რა დამაძინებდა. ოჯახის წევრები და მეზობლები რომ არ გამეღვიძებინა, დილაუთენია სამზარეულოში შევედი, დიდხანს ვიფორიაქე და ბოლოს მელოდიად გადმოიღვარა ჩემი გულის ძახილი. მეორე დღესვე მორის ფოცხიშვილთან მივედი და მუსიკა მოვასმენინე. მან შესანიშნავი ტექსტი დაწერა. ასე შეიქმნა „დინამო-დინამო“, რომელიც ალექსანდრე ბასილაიას ხელმძღვანელობით „ივერიამ“ მთელ ქვეყანას ამცნო. ბედნიერი ვარ, რომ ქართველმა ერმა შეიყვარა ეს სიმღერა და დღესაც სიამოვნებით უსმენს მას.

— 1981 წელს თქვენ დიუსელდორფში ახლდით თბილისის „დინამოს“. იმ დაუვიწყარი მატჩიდან რას გაიხსენებთ?

— ამბობენ, 13 რიცხვი თარსიაო. არ დავიჯეროთ: 13 ივლისს მე დავიბადე. 2002 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს მორაგბეებმა რუსეთის ეროვნული გუნდი დაამარცხეს და მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე გავიდნენ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 1981 წლის 13 მაისს თბილისის „დინამომ“ დიუსელდორფში იენის „კარლ ცაისს“ სძლია 2:1 და ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. კახი ასათიანის წყალობით, მქონდა ბედნიერება, ამ ორთაბრძოლას დავსწრებოდი. ვიტალი დარასელიამ გამარჯვების გოლი რომ გაიტანა, უბედნიერეს კაცად ვიგრძენი თავი; მატჩის შემდეგ მოედანზე გადავედით და მინდორს ვკოცნიდით. ეს იყო არა პიროვნული სიხარული, არამედ დიდი ეროვნული სიამაყის შეგრძნება. ქართველთა მცირერიცხოვანი დელეგაციის წევრებმა პუმარილი გაეშალეთ და იქვე დავლოცეთ ჩვენი ბიჭები. თამადად გურამ ფანჯიკიძე გვყავდა. მაშინდელი სიხარული და სიამაყე დღემდე მომყვება. ამიტომაც, ვფიქრობ, სპორტს მეტი მიხედვა და დახმარება სჭირდება, რომ ამგვარი წუთები ხშირად განვიცადოთ.

— „დინამო-დინამოს“ გარდა, თქვენ სხვა სიმღერებიც გაქვთ დაწერილი ფეხბურთზე.

— დიახ, არის ასეთი ფილმი — „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს“, რომელმაც, მგონი, იტალიაში „გრან-პრიც“ მიიღო. მახსოვს, მორის ფოცხიშვილთან ვიყავი სტუმრად. რეჟისორმა ალექსანდრე ულენტმა ამ ფილმის ფინალი მიამბო: გუნდის კაპიტანი ალექსანდრე ჩივაძე შედის გასახდელში, სკამზე ჩამოჯდება და დაღლილ-დაქანცული ფიქრებს მიეცემა. აი, კაპიტანზე გვსურსო რაღაც სიმღერა, მითხრა. მაშინვე როიალს მივუჯექი და ექსპრომტად შევასრულე მელოდია... სწორედ, ასეთი მუსიკა მინდოდაო, წამოიძახა გახარებულმა რეჟისორმა. მორისმა ლექსი გამოაცხო, თემურ წიკლაურმა კი გაახმოვანა „გიხაროდეს, კაპიტან!“

1982 წელს ქუთაისის „ტორპედოზე“ დავწერე სიმღერა - „წინ, ტორპედო“, ვარლამ ნიკოლაძის ლექსზე, ლანჩხუთელები საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში რომ გადავიდნენ, მაშინ შეიქმნა „გურია, გურია“ მორის ფოცხიშვილის ლექსზე, 90-იან წლებში ზესტაფონის „მარგვეთზეც“ მაქვს შექმნილი სიმღერა, რომლის ტექსტიც ჯანსულ ჩარკვიანს ეკუთვნის.

საერთოდ, კომპოზიტორებს განსაკუთრებით ფეხბურთი გვიზიდავს. მატვეი ბლანტერმა შესანიშნავი „მარში“ გვაჩუქა. დიმიტრი შოსტაკოვიჩი, თურმე, ყველა საქმეს გადადებდა და ბორის პაიჭაძის თამაშის საყურებლად მიდიოდა სტადიონზე. მეგობრობდა კიდეც „ფეხბურთის კარუზოსთან“ და წერილებსაც სწერდა.

— ბატონო ვაჟა, სულ ფეხბურთზე ვსაუბრობთ, მე კი ხშირად მინახავხართ სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებთანაც.

— როგორც გითხარით, ფეხბურთი ჩემი ბავშვობის სიყვარულია, ამიტომ ტყავის ბურთის დიდოსტატებთან მეტი ახლობლობა და ურთიერთობა მაკავშირებს. თუმცა რაგბიზეც მაქვს დაწერილი სიმღერა, თამაზ სანებლიძის ლექსზე. „ქართული ხმების“ ახალგაზრდულმა კვარტეტმა შეასრულა. ამბობენ, კარგიაო და რა ვიცი...

ბევრი მეგობარი მყავს მოჭიდავეთა შორისაც — გურამ საღარაძე, ვახტანგ ბალავაძე, მძლეოსნები — რობერტ შავლაყაძე, მაია აზარაშვილი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებელი მყავდა — ვასო დეკანოზიშვილი, ცნობილი მობილიარდე. სპორტის ეს სახეობა მაშინ აკრძალული იყო, როგორც ბურჟუაზიული გადმონაშთი. ახლა ბილიარდი ფართოდაა გავრცელებული საქართველოში, ბევრი კლუბი გაიხსნა, რაშიც უდიდესი წვლილი ჩემს მეგობრებს — დავით ალექსიძეს, გივი კობოსნიძეს და თამაზ შილაკაძეს მიუძღვით. თუ რამ ღონისძიება აქვთ, მეც მათ გვერდით ვარ.



— თქვენ ავტობიოგრაფიული წიგნიც გამოეცით...

— დიახ... „უკან მოხედვის არ მეშინია“. ამ წიგნის იდეა ჟურნალისტ დემიკო ლოლაძეს ეკუთვნის. მასში მთელი ჩემი ცხოვრებაა თავმოყრილი.

— ბოლო დროს ქართველმა ათლეტებმა საერთაშორისო სარბიელზე არაერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმეს. ამ წარმატებათა აღსანიშნავად ვაჟა აზარაშვილი ახალ „სპორტულ ჰანგებს“ ხომ არ გვპირდება?

— გეთანხმებით, ახალი სიმღერის შესაქმნელად აღფრთოვანებაა საჭირო. საამისო საბაბი და სტიმულიც გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, მარტო ეს არ კმარა. მე დავნერ, მაგრამ ფული თუ არ იქნა, იგი ქაღალდზე დარჩება. ხომ ხედავთ, დღეს, სამწუხაროდ, იაფფასიანი, კომპიუტერზე შექმნილი სიმღერები სჭარბობს, რადგან კრიტიკა არ არსებობს. პროფესიონალი კომპოზიტორები ჩრდილში რჩებიან — დაფინანსება არა აქვთ, ახალი სიმღერები რომ ჩაწერონ. თქვენ ახსენეთ მელოდიები სპორტზე, მზად ვარ საამისოდ, თუ ვინმე შემიკვეთავს, რადგან მეცოდინება, ჩემი სიმღერა საწერ მაგიდაზე არ მოკვდება... რადგან „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“.

ვაჟა დანელია

მარცხნიდან: ვახტანგ ქორიძე, ვაჟა აზარაშვილი და სერგო კოტრიკაძე

ჭიდაობა. ფედერაციის არჩევნები

კურტანიძეს კონკურენტი გამოუჩნდა

დღეს, 16 საათზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო-ში საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ვადამდელი საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართება, რომლის უმთავრესი საკითხიც ფედერაციის მმართველობითი ორგანოების - პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტებისა და გენერალური მდივნის არჩევნები იქნება. გუშინ, 18 საათზე დამთავრდა აღნიშნულ პოსტებზე კანდიდატურების წარდგენის ვადა და გაირკვა ყველა პრეტენდენტის ვინაობა.

ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტობას სახელოვანი ფალავანი, ევროპის ხუთგზის და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიადის ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი **ლუკა კურტანიძე** რომ აპირებდა, ადრევე გაცხადდა, განაცხადების მიღების ბოლო საათებში კი კიდევ ერთი მოარული ამბავი გამართლდა და პრეზიდენტობის სურვილი **გეგა გეგეშიძემაც** დაადასტურა. შეგახსენებთ, რომ ის ახლანდელი ვიცე-პრეზიდენტის - **თამაზ გეგეშიძის** შვილი და ბერძენ-რომაელთა ნაკრების წევრ **ვლადიმერ გეგეშიძის** უფროსი ძმაა.

ორი პრეტენდენტია გენერალური მდივნის პოსტზეც. კურტანიძის არ იყოს, ამ პოსტზე კენჭისყრის სურვილი ადრე გამოთქვა მოქმედმა გენმდივანმა **მალხაზ ჟორბენაძემ**, რომელმაც ოფიციალურად შეიტანა განაცხადი. მისი კონკურენტი სახელოვანი ვეტერანის, შოთა ლომიძის შვილი **გიორგი ლომიძე** იქნება.

კანდიდატთმრავლობაა ვიცე-პრეზიდენტის პოსტზეც. აქ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის განხრით კენჭს ამ პოსტის ახლანდელი მფლობელი **თემურ ყაზარაშვილი** და **ბაკურ გოგიტიძე** იყრიან, „თავისუფალთაგან" - **დიმიტრი გელაშვილი** და **დავით დუგლაძე**. სათათბიროს კვოტითაა წარდგენილი **ედიშერ მაჩაიძე**, მეოთხე ვიცე-პრეზიდენტს კი, ფედერაციის წესდებით, არჩეული ახალი პრეზიდენტი შეარჩევს და დასამტკიცებლად პრეზიდიუმს წარუდგენს.

ირაკლი თავაძე

ყრილობა. ცხენოსნობა

ლაშა ჯაიანი უთავკაცებს

გუშინ გამართულ საქართველოს ცხენოსნობის ფედერაციის ყრილობაზე დელეგატებმა მოისმინეს ამ ორგანიზაციის მიერ 2008-2012 წლებში გაწეული მუშაობის ანგარიში. აღინიშნა, რომ არასდროს ჩვენს ქვეყანაში საცხენოსნო სპორტის ისტორიაში ქართველ მხედრებს არ ჰქონიათ ისეთი შთამბეჭდავი წარმატებები, როგორც ჰქონდათ ხსენებულ ოლიმპიურ ოთხწლეულში. **შალვა გაჩეჩილაძე** პირველი ქართველი ცხენოსანია, რომელმაც სპორტის ამ სახეობის ოლიმპიურ პროგრამაში მოიგო მსოფლიო თასის რამდენიმე ეტაპი და C ჯგუფში, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ ევროპის და ოკეანია-სამხრეთ აზიის ქვეყნებს, მე-13 ადგილზე გავიდა — პირველმა საქართველოდან მოაგროვა ოლიმპიური ლიცენზიის ქულები. ოლიმპიადაზე კი I-VI ადგილზე გასული მხედრები გაემგზავრნენ. შალვა გაჩეჩილაძე საერთაშორისო ფედერაციამ 2012 წლის იანვარში ყველაზე პროგრესირებად ახალგაზრდა მხედრად გამოაცხადა. პროგრესზე მეტყველებს ისიც, რომ საქართველოს სახელით უკვე ასპარეზობს საერთაშორისო სარბიელზე დიდი ბრიტანეთის მხედარი ქალი, დღეს უკვე ჩვენი ქვეყნის მოქალაქე **ჯოან ვონი**. მას დიდი შანსი აქვს, ცხენის გაწვრთნაში მოხვდეს 2016 წლის ოლიმპიურ სარბიელზე. ბელგიაში გამოჩნდა უნიჭიერესი მოზარდი 14 წლის **ალექსი მაჭავარიანი**, რომელსაც ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებენ ურთულეს ოლიმპიურ პროგრამაში — ცხენოსნურ სამჭიდში. ჯერჯერობით კი იგი საქართველოს სახელით თანატოლებში ინარჩუნებს ლიდერობას. საგრძნობლად გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა თბილისში და რეგიონებში. შეიძინეს სპორტული ცხენები. ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს წარმატებები იმ მიზანმიმართული და თავდადებული შრომის გვირგვინია, რაც ფედერაციამ გასწია საანგარიშო პერიოდში.

ყრილობამ ფედერაციის ახალ პრეზიდენტად ერთხმად აირჩია გამოცდილი მუშაკი **ლაშა ჯაიანი**, რომელიც ულტერნატივო იყო ამ პოსტზე. დელეგატებმა ასევე ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ვიცე-პრეზიდენტის, გენერალური მდივნის, ფედერაციის პრეზიდიუმის და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის სესიის დელეგატის კანდიდატურებს.

თორნიკე გაჩეჩილაძე

კრივი

კვაჭატაძემ ბრინჯაო გაინაღდა

კალინინგრადში გრძელდება 19-22 წლის მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს 9 წარმომადგენელი ჩაება. სამწუხაროდ, 6-მა მათგანმა მაყურებლებში გადაინაცვლა, გუშინ კი 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა **ზაალ კვაჭატაძემ** 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბულგარელი სიმეონ ჩამოვი 16:14 დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა, რითაც ბრინჯაოს მედალი გაინაღდა. ფინალში გასასვლელად უკრაინელი სერგეი ვოლკოვის მძლეველ ბელარუსს — პაველ კოსტრომინს დაუპირისპირდება.

დღევანდელ მეოთხედფინალურ პაექრობებში კიდევ ორი ჩვენებური ჩაებმება — **ვენეტიკ ერანოსიანი** (56 კგ) და **იაგო კიზირია** (81 კგ).

ვაჟა დანელია



ზაალ კვაჭატაძე

ჭადრაკი

მარცხიანი სტარტი

sportaccord
INTERNATIONAL SPORTS FEDERATIONS
UNITE & SUPPORT

ჩინეთის დედაქალაქში დაიწყო ინტელექტუალური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მოჭადრაკეთა შეჯიბრება. ქალებმაც და ვაჟებმაც (16-16 მონაწილე) რაპიდში (სწრაფი ჭადრაკი - თითოეული პარტიისთვის 20 წუთს+10 წამი ყოველი სვლისთვის) მოსინჯეს ძალები. გუშინ 4 ტური გათამაშდა. **ბაადურ ჯობავა** სტარტზე გატა კამსკისთან (აშშ) დამარცხდა, მომდევნო ორ ტურში შაჰრიარ მამედიაროვს (აზერბაიჯანი) სძლია და ალექსანდრ გრიშჩუკს (რუსეთი) დაუზავდა, მეოთხეში კი ისევ წააგო - ამჯერად დინ ლიჟენთან (ჩინეთი). ოთხი ტურის შემდეგ ჯობავას 1,5 ქულა აქვს. 3,5 ქულით ჰიკარუ ნაკამურა (აშშ) მეწინავეობს. მას ნახევარ-ნახევარი ქულით დინ ლიჟენი და ლორენ ფრესინე (საფრანგეთი) ჩამორჩებიან.

ქალებში **ბელა ხოტენაშვილი** 0,5 ქულით ბოლო ადგილზეა. მან ვიქტორია ჩმილიტესთან (ლიტვა) გაიყო ქულა, ხოლო ჰარიკა დრონავალიმ (ინდოეთი), მონიკა სოჩკომ (პოლონეთი) და ჟაო სიუმ (ჩინეთი) ქართველ დიდოსტატს აჯობეს. 3,5 ქულით ჰოუ იფანი (ჩინეთი) ლიდერობს. 3-3 ქულით კატერინა ლაგნო (უკრაინა) და ჰამფი კონერუ (ინდოეთი) მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ.

დღეს შეჯიბრების ბოლო სამი ტურის ორთაბრძოლები გაიმართება.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

ნაბიჯი ფინალამდე

ქართველი ჩოგბურთელი **ნიკოლოზ ბასილაშვილი** ანტალიაში ჯიქურ მიიწევს ვაჟთა მეორე საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ფინალისკენ: ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ გუშინ მეოთხედფინალში მე-7 ნომრად განთესილ ეგვიპტელ შერიფ საბრის დაძაბულ პაექრობაში 7:6, 7:6 აჯობა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც გერმანელ მათიას ვუნერს დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა სამ სეტში მესამე ნომერ ტომისლავ ბრკიჩს (ბოსნია-ჰერცოგოვინა) სძლია — 6:3, 2:6, 6:4. მეორე ნახევარფინალში მე-2 ნომრად განთესილი რომაი ჟუანი (საფრანგეთი) და გილერმო ოლასო (ესპანეთი) გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას.

ვაჟა დანელია

თარიღი

15 – 21 დეკემბერი

15. 1952 წ. დაიბადა **ალან სიმონსენი** — ფეხბურთი (დანია).

16. 1952 წ. დაიბადა **ფრანჩესკო გრაციანი** — ფეხბურთი (იტალია).

17. 1938 წ. ხანძარმა შთანთქა ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტის ცენტრალური სტადიონი.

17. 1944 წ. დაიბადა **ფრენც ბენე** — ფეხბურთი (უნგრეთი).

17. 2002 წ. ფიფამ წლის საუკეთესო ფეხბურთელად ბრაზილიელი **რონალდო** დაასახელა.

18. 1966 წ. დაიბადა **ჯანლუკა პალიუკა** — ფეხბურთი, მეკარე (იტალია).

19. 1909 წ. დაარსდა საფეხბურთო კლუბი „ბორუსია" (დორტმუნდი).

19. 1973 წ. „მარაკანას" სტადიონზე გაიმართა გარინჩას დიდ ფეხბურთთან გამოსათხოვარი მატჩი.

19. 1964 წ. დაიბადა **არვიდას საბონისი** — კალათბურთი (ლიტვა).

20. 1980 წ. დაიბადა **ეშლი კოული** — ფეხბურთი (ინგლისი).

21. 1954 წ. დაიბადა **კრის ევერტი** — ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი (აშშ).

22. 1973 წ. დაიბადა **მატიას ალმეიდა** — ფეხბურთი (არგენტინა).

23. 1950 წ. დაიბადა **ვისენტე დელ ბოსკე** — ფეხბურთელი, მწვრთნელი

23. 1962 წ. დაიბადა **იოზეფ მასოპუსტი** — ფეხბურთი (ჩეხოსლოვაკია).

23. 2006 წ. სამხრეთ ამერიკის წლის საუკეთესო სპორტსმენად **რონალდინიო** (ბრაზილია) აღიარეს.

შენიშვნა: ***ქართული სპორტის ღირსსახსოვარი თარიღები ხუთშაბათობით "ქართული სპორტის ქრონიკებში" ქვეყნდება.***

ოლიმპიური მედლები

ლილე ჰამერი, 1994

პირველი, პირველმა, პირველად...

* * *

პირველი „მძლეოსნობის სამოყვარულო კლუბი" აშშ-ში დაფუძნდა ნიუ-იორკში 1868 წელს

* * *

პირველმა სამთო მოთხილამურეთა ოლიმპიურ ტურნირში სწრაფდაშვებაში სამი ოქროს მედალი **ტონი სეილორმა** მოიპოვა 1956 წელს.

* * *

პირველად მსაჯთა სახელით ოლიმპიურ თამაშებში ფიცის დადება შემოიღეს 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაზე

ვიქტორინა

1. პროფესიულ კრივში დღემდე სუპერმძიმე წონაში ყველაზე ახალგაზრდა (20 წლის) მსოფლიო ჩემპიონის (WBC-ის ვერსიით) ტიტულს ინარჩუნებს:

ა — ფლოიდ პატერსონი
ბ — მაიკ ტაისონი
გ — ევანდერ ჰოლიფილდი

2. რომელ წელს დაფუძნდა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია?

ბ

3. რამდენჯერ იყო ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონი ბობი ფიშერი (აშშ)?

ა — ერთხელ
ბ — ორჯერ
გ — ოთხჯერ

4. ფეხბურთში გოლების გატანის 40-წლიანი ვისი რეკორდი დაამხო ლისნელ მესიმ?

ა — პელესი
ბ — მიულერის
გ — ბეკენბაუერის

5. დაასახელეთ ქართველი სუმოისტი, რომელმაც იმპერატორის თასზე წლეულს საბოლოო ჯამში მეორე ადგილი დაიკავა.

ა — ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)
ბ — ლევან ცაგურიამ (კოკაი)
გ — თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)

პასუხები: 1 — ბ, 2 — გ, 3 — ა, 4 — ბ, 5 — გ.

ეს საინტერესოა

ჭადრაკში თურმე პირველი სვლის მხოლოდ... 7 ვარიანტია შესაძლებელი.

■ ■ ■

საჭადრაკო დაფაზე მიგნებულია 32 მხედრის ფიგურის ისე განლაგება, რომ არც ერთი მათგანი ერთმანეთს არ ემუქრებოდეს.

■ ■ ■

ფეხბურთში 1976 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი **ფრანც ბეკენბაუერისთვის** გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში იყო მეასე.

■ ■ ■

სპორტის სახეობიდან მსოფლიოს ჩემპიონთა შორის ყველაზე ასაკოვნები არიან ბილიარდის მოთამაშეები — საშუალოდ 35,6 წელი.

■ ■ ■

ცნობილი საფეხბურთო სტადიონი „უემბლი" გაშენებულია მხოლოდ მატჩების ჩასატარებლად. ვარჯიში მის მინდორზე აკრძალულია.

■ ■ ■

გამოთვლილია, რომ პროფესიონალი ფრენბურთელის მიერ ჩაწოდებულმა ბურთმა საათში 130 კილომეტრის სიჩქარით შეიძლება იფრინოს.

■ ■ ■

ამერიკელები ყოველწლიურად დაახლოებით 630 მილიონ დოლარს "კარგავენ" გოლფის ბურთის შეძენაში.

სპორტული ემოციები



ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

ლეგიონერები

ექვსი ევროთასებზე, ხუთი მეორე დივიზიონში

ბურთით გიორგი ნემსაძე

ევროთასების გათამაშების ჯგუფურ ტურნირში მეორე წრე იწყება. ყველაზე პრესტიჟულ „ჰაინეკენის თასზე“ ქართველ მორაგბეთა ექვსი კლუბიდან პლეი ოფში გასვლისთვის ხუთი იბრძვის. „ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში კი მხოლოდ ორი „ქართული გუნდი“ ასპარეზობს და მათგან ასპროცენტიანი შედეგი ერთს, პარიზულ „სტად ფრანსეს“ აქვს.

„ჰაინეკენის თასზე“ A ჯგუფში მოასპარეზე **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგმა“ სამი თამაშიდან სამივე წააგო და ახლა ნული ქულით ბოლო ადგილზეა. ედინბურგელები მეოთხე ტურში შინ ეთამაშებიან ფრანგულ „მეტრო რასინგს“, რომელთანაც ერთი კვირის წინათ სტუმრად დამარცხდნენ - 9:19.

ბასილაიამ ტრავმა მოირჩინა და სათადარიგოთა შორისაა. ამავე ჯგუფში ინგლისური „სარასენზი“ შინ ეთამაშება ირლანდიურ „მანსტერს“.

B ჯგუფში სამი თამაშიდან სამივე მოიგო და სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას **ვასილ კაკოვინისა** და **ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზი“, რომელიც მეოთხე ტურში სტუმრად ითამაშებს უელსურ „ოსპრიზთან“. ჩვენებურთა გუნდმა უელსელებს გასულ უქმეებზე უმასპინძლა და დამაჯერებლად დაამარცხა - 30:14.

სტუმრად მოგების მიზნით ტულუზელთა მთავარმა მწვრთნელმა **გი ნოვემ** გუნდი შერკინების ქართველი ბურჯით **ვასილ კაკოვინითა** და საფრანგეთის ნაკრების მესამეხაზელი **ტიერი დუსოტუარით** გააძლიერა. ჯაბა ბრეგვაძემ ტრავმა კი მოირჩინა, მაგრამ ჯერ სათამაშოდ მზად არ არის.

ამავე ჯგუფში იტალიური „ბენეტონი“ ტულუზელთა უშუალო კონკურენტს, ინგლისურ „ლესტერ ტაიგერზს“ უმასპინძლებს.

D ჯგუფში მოასპარეზე **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმა“ სატურნირო მდგომარეობა მესამე ტურში სტუმრად შოტლანდიურ „გლაზგოსთან“ მოგებით გაიუმჯობესა - 9:6. კასტრელები „სახლის გუნდად“ არიან მიჩნეული და სავარაუდოდ „სკოტებს“ კიდევ ერთხელ დაამწუხრებენ. ფეიქრიშვილი განაცხადში არ არის.

„კასტრს“ ახლა რვა ქულა აქვს და მეორე ადგილზეა. მას ექვსი ქულით უსწრებს ირლანდიური „ალსტერი“, რომელიც შინ ეთამაშება ინგლისურ „ნორსჰემპთონს“.

E ჯგუფს **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი“ ლიდერობს. „ვულკანებმა“ სამი თამაშიდან სამივე მოიგეს და მეოთხე ტურში უშუალო კონკურენტ ირლანდიურ „ლენსტერს“ დაუპირისპირდებიან. კლერმონელებს, საიმისოდ, რომ სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი შეინარჩუნონ, ამ მატჩში ნაგებაც ხელს აძლევთ, ოღონდ მეტოქეს პრემიალური ქულის მოპოვების საშუალება არ უნდა მისცენ.

ამავე ჯგუფში ინგლისური „ექსეტერი“ აუტსაიდერს, უელსურ „ჰლანეჰლის“ უმასპინძლებს.

F ჯგუფში სატურნირო ცხრილის პირველი ორი საფეხური ქართველ მორაგბეთა კლუბებს „ტულონსა“ და „მონპელიეს“ უკავიათ. **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონმა“ სამი თამაშიდან სამივე მოიგო და 13 ქულით პირველ ადგილზეა. ტულონელები მეოთხე ტურში შინ ეთამაშებიან ინგლისურ „სეილ შარქს“. ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაშია, ჩილაჩავა და მიქაუტაძე განაცხადში არ არიან. ახლახან კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ტულონის“ ღირსებას მალე სამხრეთაფრიკელი ვარსკვლავი, გარემარბი **ბრაიან ჰაბანა** დაიცავს.

მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტისა და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე“, რომელიც „ტულონს“ ხუთი ქულით ჩამორჩება, შინ ეთამაშება უელსურ „კარდიფს“. გასულ უქმეებზე მონპელიელებმა გორგოძის ბრწყინვალე თამაშის წყალობით მეტოქის დამარცხება შეძლეს. ამჯერად კი უელსელების წინააღმდეგობის დაძლევა მამუკას გარეშე მოუწევთ, რადგან საფრანგეთის რაგბის ნაციონალური ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა ის 20-დღიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

„კარდიფის“ წინააღმდეგ არ ითამაშებს ტრავმირებული ჟღენტი, ნარიაშვილს კი მწვრთნელებმა დასვენების საშუალება მისცეს.

ჰაინეკენის თასი

A ჯგუფი

სარასენზი-მანსტერი, ედინბურგი-მეტრო რასინგი

სატურნირო მდგომარეობა

1. სარასენზი - 10 ქულა, 2. მანსტერი - 10, 3. მეტრო რასინგი - 8, 4. ედინბურგი - 0.

B ჯგუფი

ოსპრიზი-ტულუზი, ბენეტონი-ლესტერი

სატურნირო მდგომარეობა

1. ტულუზი - 13 ქულა, 2. ლესტერი - 10, 3. ოსპრიზი - 5, 4. ბენეტონი - 0.

C ჯგუფი

ბიარიცი-ქონოთი, ჰარლიქვინზი-ზებრე

სატურნირო მდგომარეობა

1. ჰარლიქვინზი - 14 ქულა, 2. ქონოთი - 8, 3. ბიარიცი - 5, 4. ზებრე - 0.

D ჯგუფი

ალსტერი-ნორსჰემპთონი, კასტრი-გლაზგო

სატურნირო მდგომარეობა

1. ალსტერი - 14 ქულა, 2. კასტრი - 8, 3. ნორსჰემპთონი - 6, 4. გლაზგო - 1.

E ჯგუფი

ლენსტერი- კლერმონი, ექსეტერი-ჰლანეჰლი

სატურნირო მდგომარეობა

1. კლერმონი - 14 ქულა, 2. ლენსტერი - 9, 3. ექსეტერი - 5, 4. ჰლანეჰლი - 2.

F ჯგუფი

მონპელიე-კარდიფი, ტულონი-სეილ შარქსი

სატურნირო მდგომარეობა

1. ტულონი - 13 ქულა, 2. მონპელიე - 8, 3. სეილ შარქსი - 4, 4. კარდიფი - 1.

“ემლინ ჩელენჯ კაპის” გათამაშების მეოთხე ტური E ჯგუფის ლიდერის **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსეს“ მატჩით გაიხსნა. პარიზელებმა იტალიურ „პრატოს“ უმასპინძლეს და 29:6 დაამარცხეს. ჟვანიამ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 53-ე წუთზე შეცვალეს. „სტად ფრანსემ“ ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და ახლა 19 ქულა აქვს.

ამავე ჯგუფში მეორეადგილოსანი ფრანგული „გრენობლი“ სტუმრად ეთამაშება ინგლისურ „ლონდონ ველშს“.

A ჯგუფში მოასპარეზე **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანმა“ პირველი გამარჯვება ამ ტურნირში ერთი კვირის წინათ მოიპოვა, როცა სტუმრად დაამარცხა ფრანგული „ბორდო“. მარსანელები ახლა ამავე გუნდს უმასპინძლებენ და გამარჯვების შემთხვევაში პლეი ოფში გასვლის შანსს შეინარჩუნებენ. მჭედლიძე ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

ამავე ჯგუფში ლიდერი, ინგლისური „გლოსტერი“ შინ ეთამაშება „ლონდონ აირიშს“.

სტად ფრანსე მოლში თამაშისას

ემლინ ჩელენჯ კაპი

A ჯგუფი

მონ დე მარსანი-ბორდო, გლოსტერი-ლონდონ აირიში

სატურნირო მდგომარეობა

1. გლოსტერი - 13 ქულა, 2. ლონდონ აირიში - 11, 3. მონ დე მარსანი - 5, 4. ბორდო - 1.

B ჯგუფი

როვიგო-გერნიკა, პერპინიანი-ვორსტერი

სატურნირო მდგომარეობა

1. ვორსტერი - 14 ქულა, 2. პერპინიანი - 11, 3. გერნიკა - 4, 4. როვიგო - 0.

C ჯგუფი

ვოსფსი-ბაიონი 30:16, ნიუპორტი-მოლიანო

სატურნირო მდგომარეობა

1. ვოსფსი - 12 ქულა, 2. ბაიონი - 11, 3. ნიუპორტი - 6, 4. მოლიანო - 0.

D ჯგუფი

აჟენი-ბუქარესტი, კალვიზანო-ბასი

სატურნირო მდგომარეობა

1. ბასი - 15 ქულა, 2. ბუქარესტი - 9, 3. აჟენი - 7, 4. კალვიზანო - 2.

E ჯგუფი

სტად ფრანსე-პრატო 29:6, ლონდონ ველში-გრენობლი

სატურნირო მდგომარეობა

1. სტად ფრანსე - 19 ქულა, 2. გრენობლი - 10, 3. ლონდონ ველში - 4, 4. პრატო - 2.

■ ■ ■

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში პირველი წრის ბოლო, მე-15 ტურის მატჩები გაიმართება. გათამაშებას დამაჯერებლად ლიდერობს „ოიონაქსი“, რომელიც მეორეადგილოსან „პოს“ 14 ქულით უსწრებს. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები, თუმცა ისიც ძნელი წარმოსადგენია, რომ ოიონაქსელებმა ამოდენა ჰანდიკაპი გაანიავონ. მით უფრო, რომ ეს გუნდი საშინაო კედლებში შესანიშნავად თამაშობს და ფაქტობრივად არასდროს აგებს.

იმ შემთხვევაში, თუ „ოიონაქსი“ გათამაშებას პირველ ადგილზე დაასრულებს, ელიტური, პირველი დივიზიონის საგზურს ავტომატურად მიიღებს. დარჩენილი ერთი გუნდის ვინაობა კი მეორე-მეხუთე ადგილზე გასულ გუნდებს შორის დაპირისპირებაში გაირკვევა.

პლეი ოფში მოხვედრის შანსი ქართველ მორაგბეთა ერთბაშად ხუთ გუნდს აქვს. ესენია: „ორიაკი“, „ლიონი“, „ბრივი“, „ტარბი“ და „ალბი“. მე-15 ტურში „ალბის“ გარდა ყველა შინ თამაშობს და კარგი შანსი აქვთ, სატურნირო მდგომარეობა ბევრად გაიუმჯობესონ.

ყველაზე კარგი მაჩვენებლის მქონე **ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკი“ შინ მიიღებს ერთ-ერთ აუტსაიდერს, **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიეს“. დათუნაშვილი, ნაცარაშვილი და შეყლაშვილი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ.

„ორიაკს“ კვალში უდგას **გურამ კავთიძის** „ლიონი“, რომელიც სეზონის დაწყების წინ ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნეოდა. ლიონელები პირველი წრის ბოლო მატჩში „კარკასონს“ უმასპინძლებენ, კავთიძე ძირითად შემადგენლობაშია. თანაბარი ქულები დაუგროვდათ „ბრივსა“ და „ტარბს“. **დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „ბრივი“ ერთ-ერთ აუტსაიდერ „ექსს“ უმასპინძლებს. **გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძის, ირაკლი მირცხულავასა და დავით დადუნაშვილის** „ტარბი“ ასევე შინ ითამაშებს „ნარბონთან“. ჩხაიძე და ნემსაძე ძირითად შემადგენლობაში არიან, დადუნაშვილი და მირცხულავა კი - თადარიგში.

ალექსანდრე თოდუას, ვახტან მაისურაძის, კახაბერ კობერიძის, ვახტანგ ახობაძისა და გიორგი თეთრაშვილის „ალბი“ 36 ქულით მე-9 ადგილზეა. ჩვენებურთა ამ გუნდს სტუმრად მოუწევს თამაში ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელ „ლა როშელთან“.

დავით დადუნაშვილი ლელოს ხარობს

II დივიზიონი

XV ტური

მასი-კოლომიე, ტარბი-ნარბონი, დაქსი-ოში, ლა როშელი-ალბი, ოიონაქსი-პო, ორიაკი-ბეზიე, ბრივი-ექსი, ლიონი-კარკასონი.

სატურნირო მდგომარეობა

1. ოიონაქსი - 57 ქულა, 2. პო - 43, 3. ლა როშელი - 42, 4. ორიაკი - 41, 5. ლიონი - 40, 6. ბრივი - 38, 7. ტარბი - 38, 8. კარკასონი - 36, 9. ალბი - 36, 10. ნარბონი - 29, 11. კოლომიე - 28, 12. ოში - 28, 13. დაქსი - 20, 14. ექსი - 14, 15. ბეზიე - 17, 16. მასი - 12.

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

ხვალ

ხარები-არმაზი

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ლელო	12	11	0	1	+207	52
2. არმია	12	11	0	1	+136	50
3. აია	12	8	1	3	+158	40
4. არმაზი	11	8	0	3	+41	34
5. ლოკომოტივი	12	5	1	6	+22	27
6. ჯიქები	12	5	0	7	-12	26
7. ხარები	11	3	0	8	-102	15
8. ბათუმი	12	3	0	9	-106	14
9. აკადემია	12	3	0	9	-209	14
10. ყოჩები	12	1	0	11	-135	7

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

● სუპერლიგა 2012-13. IX ტური

ქუთაისმა შსს-ს ვერ გაუძლო

14 დეკემბერი, ქუთაისი

	ქუთაისი	შსს
	70	87

	I	II	III	IV
ქუთაისი	23	10	17	20
შსს აკადემია	17	27	17	26

ქუთაისი	წთ	მ	პ	შ	ჩ	დ	ქ
ზაურ ფაშაევი	24	1	6	3	1	0	9
ბაბუნაშვილი	32	2	2	2	1	0	9
დიდია	34	2	2	2	0	0	3
კვიმსაძე	30	3	2	0	1	0	18
დ. ბარბაქაძე	13	0	0	1	0	0	8
გ. ბარბაქაძე	31	3	0	0	2	0	7
მათიაშვილი	33	7	1	2	0	1	16

შსს	წთ	მ	პ	შ	ჩ	დ	ქ
ვონი	39	4	4	3	4	0	12
როგავა	16	2	3	1	0	0	2
ლექავა	11	0	1	1	0	0	1
ბოქოლიშვილი	35	5	2	1	0	0	19
ლონდარიძე	11	6	0	0	1	0	12
პრევიტი	35	6	9	1	0	0	10
ლომოური	7	1	0	2	1	0	3
ანთაძე	4	2	0	1	0	0	0
ბექაური	6	1	0	0	0	0	2
არჩიბეკი	31	13	3	2	0	1	26

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი

ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ქუთაისის სპორტის სასახლეში გაიმართა, სადაც ერთმანეთს „ქუთაისი“ და „შსს აკადემია“ დაუპირისპირდნენ. მართალია, თბილისელებმა 17 ქულის სხვაობით მოიგეს, მაგრამ შეხვედრა საინტერესო და ემოციებით დატვირთული გამოდგა. განსაკუთრებით ხმაურიანი მატჩის დასკვნითი ნანილი იყო, როცა **რიჩარდ მათიაშვილსა** და **დეონტა ვონს** შორის დაპირისპირება მოხდა და ლამის ჩხუბში გადაიზარდა. საბედნიეროდ, კალათბურთელებმა ემოციები დროულად მოთოკეს და ინციდენტი აღარ გართულებულა...

შეხვედრის დებიუტში ქუთაისელები კარგად თამაშობდნენ და არაფერი მიანიშნებდა იმაზე, რომ საბოლოოდ 17-ქულიანი სხვაობით დამარცხდებოდნენ. მასპინძელთაგან განსაკუთრებით **თემურ ბაბუნაშვილი** გამოირჩეოდა, რომელმაც საწყის წუთებში საკუთარ გუნდს 5 ქულა მოუპოვა და ამასთან ერთად, დაცვაშიც კარგად გაისარჯა. ბაბუნაშვილის ზუსტ სროლებს მათიაშვილის სამქულიანიც მოჰყვა და მასპინძლები 8:0 დაწინაურდნენ. მალე თბილისელებიც გააქტიურდნენ, ლეგიონერების, **პრუეტისა** და **არჩიბეკის** ზუსტი შეტევების წყალობით სხვაობა საგრძნობლად შეამცირეს - 9:7. ქუთათურებმა სამქულიანებზე გადაიტანეს აქცენტი და პერიმეტრიდან სროლები კარგადაც წაუვიდათ. **ბუბა კვიმსაძის, გიგი ბარბაქაძისა** და **ზაურ ფაშაევის** ზუსტი სამქულიანების შემდეგ „ქუთაისი“ 21:12 დაწინაურდა. მეოთხედის დასრულებამდე **ბოქოლიშვილის** აქტიურობის შედეგად აკადემიელებმა ანგარიშის შემცირება 6 ქულამდე მოახერხეს (23:17).

მეორე პერიოდი თბილისელებმა უკეთ დაიწყეს, ბოქოლიშვილის და ვონის ზუსტი სროლების შედეგად დედაქალაქელები წინ გავიდნენ – 23:24. შეხვედრა სტუმრების უპირატესობით გაგრძელდა, **დავით უსტიაშვილის** შეგირდებს განსაკუთრებით არჩიბეკის შეჩერება უჭირდათ, რომელიც გუშინ საუკეთესო იყო და მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლიც შეასრულა (26 ქულა და 13 მოხსნა. საერთოდაც, აკადემიელებმა მოხსნების მხრივაც დაჩაგრეს მეტოქე 45:21). თბილისელთა სათადარიგოებიც კარგად ჩაერთვნენ თამაშში, შესვენებამდე სტუმრებმა კიდევ უფრო გაზარდეს სხვაობა და პირველი ტაიმი 11 ქულით მოიგეს (33:44).

გეორგიოს კეცელიდისის შეგირდების უპირატესობა მესამე მეოთხედშიც აშკარა იყო. ისინი 17 ქულითაც დაწინაურდნენ (38:55), მაგრამ შემდეგ ქუთათურებიც გამოფხიზლდნენ, **დიდიამ** და **კვიმსაძემ** სხვაობა 10 ქულამდე შეამცირეს (45:55), გულშემატკივრებს მატჩის შემობრუნების იმედი გაუჩნდათ და ტრიბუნები კვლავ ახმაურდა. შეხვედრა ორმხრივი, ზუსტი შეტევებით გაგრძელდა და მესამე პერიოდის დასრულების შემდეგ ტაბლოზე კვლავ 11-ქულიანი სხვაობა იყო დაფიქსირებული (50:64).

დასკვნითი მეოთხედის საწყის წუთებში ბოქოლიშვილმა და არჩიბეკმა ქუთაისელებს 5 ქულა ჩაუგდეს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელის „ალე ჰუპი“ იყო აღსანიშნავი. ლამაზად ჩატენა ბურთი **ბექა ბექაურმაც**. მანამდე კი გიგი ბარბაქაძემ და თემურ ბაბუნაშვილმა თბილისელებს 3-3 ქულით უპასუხეს, რასაც დიდიას სამქულიანიც მოჰყვა და ანგარიში 8 ქულამდე შემცირდა - 60:68. „ქუთაისმა“, რომელსაც მეტოქეზე გაცილებით „მოკლე სათადარიგოთა სკამი“ აქვს, ტემპის შენარჩუნება ვერ შეძლო და უპირატესობა კვლავ „შსს-აკადემიას“ მხარეს გადავიდა. ამ პერიოდში **ილია ლონდარიძე** გამოირჩა, თბილისელებმა მეტოქეს მეტის საშუალება აღარ მისცეს და ანგარიში თანდათან კიდევ უფრო გაზარდეს.

მატჩის დასრულებამდე 12 წამით ადრე ის ინციდენტიც მოხდა, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. საბოლოოდ თბილისელებმა 17-ქულიანი სხვაობით მოიგეს და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე დამკვიდრდნენ.

მატჩის შემდეგ

გეორგიოს კაცელიდისი („შსს აკადემიას“ მწვრთნელი):

- დარბაზში საოცარი ატმოსფერო იყო შექმნილი, სუპერლიგის ყველა მატჩზე ასეთი ქომაგობაა საჭირო. რაც შეეხება მატჩს, საკმაოდ რთული თამაში იყო, თუმცა მეტოქის სუსტი მხარეები კარგად გამოვიყენეთ, რამაც გამარჯვება მოგვიტანა.

დავით უსტიაშვილი („ქუთაისის“ მწვრთნელი):

- თამაში კარგად დავიწყეთ, მაგრამ მეორე მეოთხედში ძალიან ცუდად გავისარჯეთ და მეტოქეს 11 ქულით დაწინაურების საშუალება მივეცით. სამწუხაროდ, ამის შემდეგ ვეღარ მოვახერხეთ თამაშის შემოტრიალება და დავმარცხდით. წაგების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი დაცვაში სუსტი თამაში იყო. მეტოქემ 87 ქულა ჩაგდო, რაც ძალიან ბევრია.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან
ავტორის ფოტო

● ქართველი NBA-ში

ზაზა ფაჩულია: აბა, ყბის ძვალი გაეტეხათ?

ვიდეოზე კი ჩანდა, თითქოს ვისიმულიანტე. სიმართლე რომ გითხრათ, მერჩივნა 5000 დოლარი გადამეხადა, ვიდრე იდაყვი მომხვედროდა და ყბის ძვალი გაეტეხა.“

■ ■ ■

გუშინდელ ნიმერში მოგახსენეთ, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი **ზაზა ფაჩულია** NBA-მ გააფრთხილა: ახალი გამკაცრებული წესების თანახმად, თუ კიდევ შევნიშნავთ სიმულაციას, 5000 დოლარით დაგაჯარიმებთო.

აი, რა უპასუხა ზაზამ: *„NBA-ს ყველა წესს პატივს ვცემ. არც სიმულაციის მომხრე ვარ, თუმცა „ვაშინგტონთან“ მატჩის იმ კონკრეტულ ეპიზოდში **კევინ სერაფინმა** იდაყვი რომ მოიქნია, ძალიან ახლოს ვიყავი და უბრალოდ, თავის დაცვა ვცადე - თავი სწრაფად გავწიე.*

ვიდეოზე კი ჩანდა, თითქოს ვისიმულიანტე. სიმართლე რომ გითხრათ, მერჩივნა 5000 დოლარი გადამეხადა, ვიდრე იდაყვი მომხვედროდა და ყბის ძვალი გაეტეხა.“

ზაზა ფაჩულიას „ატლანტა“ კი თამაშს თამაშზე იგებს და უკვე „მაიამის“ დაეწია. მათ 14-14 მოგება (6-6 მარცხი) აქვთ და აღმოსავლეთის კონფერენციაში მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებენ.

ბოლო ტურში ჯორჯიელებმა „შარლოტ ბობქეთსი“ მიიღეს და დამაჯერებლად მოიგეს - 113:90.

ფაჩულიამ 18 წუთში 7 მოხსნა მოაგროვა. ქულა? - იკითხავთ. მეტოქის კალათის მიმართულებით ერთხელაც არ უსვრია.

„ატლანტას“ მომდევნო მატჩი 15 დეკემბერს იგეგმება - „გოლდენ სტეიტს“ უმასპინძლებს.

ვაჟა სიმონიშვილი

● ქართველი უკრაინაში

მოშინაურებული მაიმუნები

გიორგი ცინცაძის „ბუდიველნიკმა“ „ჩერკასის მაიმუნებს“ უმასპინძლა და 77:60 დაამარცხა. თანაბრად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ (32:31) კიეველებმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს და ეს საბოლოო შედეგზეც აისახა.

ქართველი გამთამაშებელი მეტად აკურატული იყო: 28 წუთში 3-დან 3 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და 8 ქულას 4 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა მიამატა.

ვაჟა სიმონიშვილი

● სპორტი და ახალგაზრდობა

პასი სკოლიდან

სპორტულმა კლუბმა "მორკინალი 2011-მა" საინტერესო შეჯიბრებას ჩაუყარა საფუძველი. 24 ნოემბრიდან მიმდინარეობს საკალათბურთო ტურნირი სკოლებს შორის.

საკალათბურთო ლიგაში მონაწილეობს 1999-2000 წლებში დაბადებულ ვაჟთა ათი გუნდი, რომლებიც ერთმანეთში ორ წრედ მიმოსვლითი სისტემით ითამაშებენ. რეგულარულ ეტაპს მოჰყვება პლეი ოფი, საბოლოოდ კი გამოვლინდება ჩემპიონი და პრიზიორები.

შედარებით უფროსებში, 1997-98 წლებში დაბადებულთა ლიგაში ექვსი გუნდი შეიკრიბა. ისინი რეგულარულ ეტაპს ოთხ წრედ ითამაშებენ.

ქვემოთ გთავაზობთ აქამდე ჩატარებული მატჩების შედეგებსა და სატურნირო მდგომარეობებს.

1999-2000 წლებში დაბადებულები	
159 სკოლა – 16 სკოლა	18:24
69 სკოლა I – მთიები II	42:8
92 სკოლა – 16 სკოლა	19:22
159 სკოლა – 69 სკოლა II	14:44
მთიები I – მთიები II	51:14
69 სკოლა I – 16 სკოლა	19:18
92 სკოლა – 69 სკოლა II	18:50
მთიები I – 16 სკოლა	21:25
92 სკოლა – 173 სკოლა	25:36
მთიები I – 69 სკოლა II	34:41
69 სკოლა I – 173 სკოლა	38:25
159 სკოლა – 173 სკოლა	20:24
132 სკოლა-69 სკოლა II	38:40 დ. დ.
173 სკოლა – 132 სკოლა	28:8
16 სკოლა – 24 სკოლა	26:27

გუნდი	თ	მ	წ	სხ	ქ
1. 173-ე სკოლა	4	3	1	113/91	7
2. 69-ე სკოლა I	3	3	0	99/51	6
3. 69-ე სკოლა II	3	3	0	125/86	6
4. მე-16 სკოლა	4	2	2	90/83	6
5. მთიები I	3	1	2	106/80	4
6. 92-ე სკოლა	3	0	3	62/108	3
7. 159-ე სკოლა	3	0	3	52/92	3
8. 24-ე სკოლა	1	1	0	27/26	2
9. 132-ე სკოლა	2	0	2	46/68	2
10. მთიები II	2	0	2	22/93	2

1997-1998 წლებში დაბადებულები	
16 სკოლა-69 სკოლა II	42:35
69 სკოლა I-173 სკოლა	48:53
92 სკოლა-24 სკოლა	33:41
69 სკოლა II-24 სკოლა	30:42
16 სკოლა-69 სკოლა I	21:60
69 სკოლა I-69 სკოლა II	54:37
92 სკოლა-16 სკოლა	20:23
24 სკოლა-173 სკოლა	31:75
24 სკოლა-69 სკოლა I	38:71

გუნდი	თ	მ	წ	სხ	ქ
1. 69-ე სკოლა I	4	3	1	233/149	7
2. 24-ე სკოლა	4	2	2	152/207	6
3. 173-ე სკოლა	2	2	0	128/79	4
4. 69-ე სკოლა II	3	1	2	106/114	4
5. 16-ე სკოლა	3	1	2	79/122	4
6. 92-ე სკოლა	2	0	2	51/64	2

ვაჟა სიმონიშვილი

შეწყვეტილი სერია

14 დეკემბერი, რუსთავი

	რუსთავი	ოლიმპი
	65	76

	I	II	III	IV
რუსთავი	24	15	14	12
ოლიმპი	18	20	22	16

რუსთავი	წთ	მ	პ	შ	ჩ	დ	ქ
ბოლი	29	5	3	3	1	0	26
ცაკვავა	30	3	4	2	2	0	9
აბაიშვილი	14	1	0	2	0	0	3
ჩაჩანიძე	1	0	0	0	0	0	0
ნელსონი	35	4	2	1	0	0	11
ჭოჭუა	21	5	2	1	2	0	3
ტუფანი	29	7	2	0	2	1	6
ათანელიშვილი	14	2	2	0	0	2	5
ხვედელიძე	23	5	1	3	1	0	2

ოლიმპი	წთ	მ	პ	შ	ჩ	დ	ქ
ტოგბარაძე	5	2	1	0	0	0	3
სოკი	29	3	7	3	1	0	7
ბერიშვილი	29	4	5	1	1	3	7
მიქელაძე	10	2	0	1	0	0	0
თეთვაშვილი	14	1	2	0	0	0	0
ფაცაცია	34	8	2	5	2	1	19
ტუტუსი	20	4	2	0	1	0	8
დვალიშვილი	14	6	0	1	0	0	6
ჰოგერი	10	5	0	2	0	0	7
მილოშევიჩი	29	11	0	4	0	0	19

მსაჯები: ირაკლი ბერიშვილი, დავით ბერიშვილი, მიხეილ ვართანოვი

პირველი ნრე ჯერ არ დასრულებულა და უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნლევანდელი სუპერლიგა ბოლო ნლებში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია. თავად განსაჯეთ: მეექვსე ტურში „ქუთაისმა“ „ოლიმპს“ სტუმრად დიდი სხვაობით აჯობა, მეშვიდე ტურში „რუსთავმა“ ქუთაისში იმარჯვა, მერვეში რუსთაველელებმა არც „არმია“ დაინდეს, ხოლო მეცხრე ტურში „ოლიმპმა“ ქვემოქართლელთა ნარმატებული სვლა შეწყვიტა - სტუმრად 76:65 გაიმარჯვა. იმის თქმა გვინდა, რომ პირველობისთვის მეტად თანაბარი გუნდები იბრძვიან, რაც ჩემპიონატს მეტ ხიბლს სძენს.

„რუსთავმა“ „ოლიმპთან“ მატჩი დამაჯერებლად დაიწყო, პირველი პერიოდი 24:18 მოიგო, თუმცა მომდევნო ორ მეოთხედში ინიციატივა თბილისელებმა იგდეს ხელთ და საბოლოოდ 11 ქულის სხვაობითაც იმარჯვეს.

მიხეილ ბერუაშვილი („რუსთავის“ მწვრთნელი):

- „ოლიმპი“ არაა ის გუნდი, რომლის დამარცხებაც არ შეგვიძლია, უბრალოდ დღეს ბევრი შეცდომა დავუშვით. გუნდმა ვერ შეასრულა ის დავალება, რაც მიცემული ჰქონდა. ვარჯიშებზე დამუშავებული კომბინაციები ვერ გამოვიყენეთ, სროლებიც არ წაგვივიდა და დავმარცხდით.

გია კაზანჯიანი („ოლიმპის“ მწვრთნელი):

- „შსს-აკადემიასთან“ მოგებული მატჩის შემდეგ რიგი მიზეზების გამო სრულფასოვანი ვარჯიში ვერ გავმართეთ. დვალიშვილს და ბერიშვილს ტრავმები ანუხებდათ და მიუხედავად ამისა, კარგად ითამაშეს. ასევე კმაყოფილი ვარ ტანმაღალი კალათბურთელებით, რომლებმაც მეტოქეებს ბევრი ჯარიმა მიაღებინეს და შეტევაშიც შედეგიანად გაისარჯნენ.

გუნდი	თ	მ	წ	სხ	ქ
1. რუსთავი	9	7	2	683/621	16
2. ოლიმპი	8	7	1	707/558	15
3. შსს აკადემია	8	7	1	664/533	15
4. ქუთაისი	8	5	3	613/573	13
5. არმია	7	5	2	602/432	12
6. დინამო	7	4	3	540/499	11
7. ბათუმი-რსუ	8	3	5	553/604	11
8. თსუ	8	3	5	532/622	11
9. სოხუმი	7	1	6	526/609	8
10. სტუ	7	0	7	417/573	7
11. სამედიცინო	7	0	7	404/617	7

ვაჟა სიმონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

● სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი

აქსელ ლუნდ სვინდალი

უკონკურენციო სვინდალი

ნორვეგიელმა **აქსელ ლუნდ სვინდალმა** მსოფლიოს თასის მიმდინარე გათამაშებაში მესამე ეტაპი მოიგო. ამჯერად, გენერალური კლასიფიკაციის ლიდერმა იტალიის ვალ გარდენას ტრასაზე სუპერგიგანტში დაამარცხა ყველა.

როგორც ჩანს, სკანდინავიელს წელს კონკურენტი არ ჰყავს, ყოველ შემთხვევაში, ასე ხდება ჩქაროსნულ დისციპლინებში. რა თქმა უნდა, სვინდალი ყველა სტარტს ვერ იგებს, მაგრამ ძალიან ახლოს არის ამასთან.

გუშინ ნორვეგიელს დაუჯერებლად დახვეწილი და ოსტატური დაშვება ჰქონდა, რის შემდეგაც კითხვა არავის გაუჩნდებოდა იმის შესახებ - ვინ არის დღეს საუკეთესო სამთო მოთხილამურე ჩქაროსნულ დისციპლინებში. რაზეა ლაპარაკი, როცა სვინდალმა თავის უახლოეს კონკურენტს წამზე მეტი მოუგო, რაც ასეთი დისციპლინებისთვისაც კი ძალიან ბევრია.

უნდა აღინიშნოს, რომ იტალიის ნაკრები ამ სეზონში ძალიან კარგად გამოდის. დღეს მათ პოდიუმზე ორი წარმომადგენელი ჰყავდათ - მეორე სრულიად მოულოდნელად **მატეო მარსალია** გახდა, მესამეზე კი **ვერნერ ჰელი** გავიდა. გარდა ამისა, ათეულში მოხვდა მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის სამგზის მედალოსანი **კრისტოფ ინერჰოფერი**.

პირველ ათ მოთხილამურეს შორის ასევე სამი ავსტრიელი იყო, მაგრამ არც ერთი მათგანი მეექვსე ადგილზე ზემოთ არ ასულა.

სუპერ-გიგანტი

1. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორვეგია) - 1:36.95; 2. **მატეო მარსალია** (იტალია) - +1.07; 3. **ვერნერ ჰელი** (იტალია) - +1.12; 4. **ჩიეტილ იანსრუდი** (ნორვეგია) - +1.18; 5. **ადრიენ ტეუ** (საფრანგეთი) - +1.28; 6. **მატიას მაიერი** (ავსტრია) - +1.48...

საერთო ჩათვლა

1. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორვეგია) - 540 ქულა; 2. **ტედ ლიგეტი** (აშშ) - 408; 3. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 380; 4. **ჩიეტილ იანსრუდი** (ნორვეგია) - 261; 5, **მაფრედ მოელგი** (იტალია) - 224; 6. **მატეო მარსალია** (იტალია) - 209...

■ ■ ■

უსიამოვნო ამბავი შეიტყვეს გერმანელი **მარია რიშის** გულშემატკივრებმა. როგორც გაირკვა, ფინეთის კურორტ ლევიში გამართული ეტაპის დროს ოლიმპიურმა ჩემპიონმა მარცხენა ხელზე ცერა თითი მოიტეხა.

თავდაპირველად დაზიანება სერიოზული არ ეგონათ, მაგრამ სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ მოტეხილობასთან გვაქვს საქმე.

თუმცა გუშინ საფრანგეთის ვალ დ'იზერში რიშმა შეძლო სწრაფდაშვების სტარტზე გასვლა, მაგრამ მხოლოდ მე-12 ადგილი დაიკავა. ასევე ჩააგდო ეს სტარტი მსოფლიოს თასის ლიდერმა **ტინა მაზემ**, რომელიც მე-13 მივიდა ფინიშთან, ამერიკელ **ლინდსი ვონს** კი საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა გუშინდელ სტარტში.

სწრაფდაშვება

1. **ლარა გუტი** (შვეიცარია) - 1:19.75; 2. **ლინ სმიტი** (აშშ) - 1:19.91; 3. **ნადია კამერი** (შვეიც) - 1:20.25; 4. **მარია მარშან-არვიე** (საფ) - 1:20.27; 5. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 1:20.42; 6. **ფრაენციი აუფდენბლატენი** (შვეიცარია) - 1:20.47...

საერთო ჩათვლა

1. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 699 ქულა; 2. **მარია რიში** (გერმანია) - 463; 3. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 414; 4. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 360; 5. **ლარა გუტი** (შვეიცარია) - 309; 6. **ჯულია მანკუზო** (აშშ) - 287...

● ამბები

ველოსპორტი

ბური ლიდსში დაიწყება

2014 წელს, ფრანგული სუპერველომარათონის ტურ დე ფრანსის პირველი ეტაპები ინგლისის ტერიტორიაზე ჩაივლის, - იტყობინება BBC. როგორც გაირკვა, 101-ე ტური იორკშირის საგრაფოს ქალაქ ლიდსიდან დაიწყება, საიდანაც ველომრბოლები ლონდონამდე მიაღწევენ.

შეგახსენებთ, რომ სხვადასხვა წლებში, „ტურ დე ფრანსის" ეტაპები ბელგიაში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, ესპანეთში, იტალიაში, ლუქსემბურგსა და შვეიცარიაში გამართულა.

ოლიმპიზმი

ისინბაევა სოფლის მერია

ჭოკით ხტომაში ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, სახელგანთქმულ **ელენა ისინბაევას** სამუშაო უშოვეს სოჭის 2014 ნლის ზამთრის ოლიმპიადაზე. კერძოდ, ლეგენდარული სპორტსმენი ოლიმპიური სოფლის მერი იქნება.

ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტში დააზუსტეს, რომ ისინბაევა უხელმძღვანელებს სოფლის იმ ნაწილს, რომელიც ზღვის სანაპიროზე იქნება განთავსებული. მოგვიანებით დასახელდება მერი სამთო ოლიმპიური სოფლისთვის.

კომიტეტის ხელმძღვანელებს არ დაუსახელებიათ მიზეზი, თუ რა კრიტერიუმით აირჩიეს ჭოკით მხტომელი ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და რა შედის ოლიმპიური სოფლის მერის მოვალეობებში.

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

კარმელოს შურისძიება

მხოლოდ სამი მატჩი გაიმართა გუშინ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. მათ შორის ცენტრალური იყო შეხვედრა "მედისონ სკვერ გარდენში", სადაც **მაიკ ვუდსონის** შეგირდები იოლად გაუსწორდნენ "ლეიკერსს", რომელსაც "ნიქსის" ყოფილი დამრიგებელი **მაიკ დ'ენტონი** ავარჯიშებს.

მასპინძლებმა პირველივე მეოთხედში გააკეთეს მოგებაზე სერიოზული განაცხადი - საწყისი 12 წუთი მათ 41:27 მოიგეს. მარტო **კარმელო ენტონის** ჰქონდა დროის ამ მონაკვეთში დაახლოებით იმდენივე ქულა (22), რამდენიც მთელ "ლეიკერსს" - ერთად აღებული. ამის შემდეგ მატჩის მოგება ტექნიკის საქმე იყო, რაშიც ამჟამინდელ "ნიუ იორკს" პრობლემა არ აქვს. შემთხვევითი არ არის, რომ ამ გუნდს მიმდინარე სეზონში უკვე ორჯერ ჰყავს დამარცხებული მოქმედი ჩემპიონი "მაიამი". შეხვედრის მსვლელობისას აღმოსავლეთის ლიდერის უპირატესობა 26 ქულას აღწევდა და მხოლოდ მეორე ტაიმში მოუკლო თამაშს მასპინძელთა გუნდმა.

სასტარტო მეოთხედში "ნიუ იორკმა", როგორც ეს ხშირად ხდება, შორეული ტყორცნების ტაქტიკას მიმართა. სწორედ ამის წყალობით მიაღწია მან ასეთ დიდ უპირატესობას. ყველაზე მეტად მოინდომა **სტივ ნოვაკმა**, რომელმაც ხუთი შორეული ცდიდან ოთხი გამოიყენა. ენტონიმაც პერიმეტრიდან ხუთჯერ სცადა ბედი, მაგრამ მხოლოდ სამი ჩააგდო.

არ არის გამორიცხული, რომ კარმელო ენტონი განსაკუთრებულად ემზადებოდა ამ მატჩისთვის, რადგან მთელი გასული სეზონი ის პრაქტიკულად ომობდა დ'ენტონისთან, რის გამოც მისი თამაში აშკარად მოიკოჭლებდა. ის 30 ქულა, რომელიც მან გუშინ თავის გუნდს შესძინა, ალბათ, ყველაზე კარგად ლაპარაკობს იმაზე, რომ ამ დავაში დ'ენტონი იყო არასნორი. თუმცა გუშინ კარმელომ სნაიპერული დუელი წააგო "ლეიკერსის" ლიდერთან **კობი ბრაიანტთან**, რომელმაც 31 ქულა დააგროვა, თუმცა, ერთი პირობა 60 ქულის გრაფიკით მიდიოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველად 1992 წლის შემდეგ, "ნიქსის" საშინაო მოგებათა სერია ცხრა მატჩამდე ავიდა. რაც შეეხება "ლეიკერსს", **სტივ ნეშისა** და **პაუ გასოლის** გარეშე ამ გუნდმა უკვე ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო.

კარმელოს ვერაფერი მოუხერხეს

■ ■ ■

აშკარა პროგრესი შეიმჩნევა "პორტლენდის" თამაშში, რომელმაც ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო თავისი ერთ-ერთი ლიდერის **უესლი მეტიუზის** გარეშე. ამჯერად **დამიან ლილარდის** (29 ქულა - კარიერის რეკორდი), **ლამარკუს ოლდრიჯისა** და **ჯეი ჯეი ჰიქსონის** მსხვერპლი გახდა "სან ანტონიო", რომელმაც, თავის მხრივ, ზედიზედ მეორე მატჩი წააგო. "სპურსი" ორმეოთხედნახევარი თანაბრად ებრძოდა მეტოქეს, სანამ საბოლოოდ შეუჩერებელი არ გახდა ლილარდი, რომელიც წლის საუკეთესო ახალბედას პრიზის მთავარი მაძიებელია. დებიუტანტმა მესამე მეოთხედში 12 ქულა დააგროვა და 12-ქულიანი უპირატესობა მოუტანა თავის გუნდს.

სტუმრები ოდნავ დაიბნენ, მაგრამ ცოტა ხნით. ისევე, როგორც წინა მეოთხედებში, "სპურსი" შორს არ უშვებდა მეტოქეს, მაგრამ ვერც ერთი სროლის დისტანციაზე უახლოვდებოდა. ბოლოსკენ, ტექსასელები, ტრადიციულად, **გრინის** სამქულიანების იმედზე იყვნენ, მაგრამ დენის სროლა არ წაუვიდა, გარდა ამისა, კიდევ ერთმა სნაიპერმა - **გერი ნილმა** ჩაატარა ცუდი მატჩი (10-დან მხოლოდ ორი ზუსტი ტყორცნა).

"სპურსმა" 12-ქულიანი ჩამორჩენა ბოლოსკენ სამ ქულამდე დაიყვანა. მაგრამ **ჯინობილის** ორქულიანს მაშინვე უპასუხა **ჰიქსონმა**. საერთოდ, "სან ანტონიო" ბოლო წამებზე არ ცდებოდა, მაგრამ მათ ყოველ ზუსტ ტყორცნას "პორტლენდის" დროული პასუხი მოჰყვებოდა ხოლმე. ფაქტობრივად, შეხვედრას წერტილი **ბატუმის** შორეულმა ტყორცნამ დაუსვა, რომელმაც, სხვათა შორის, კარიერის პირადი რეკორდი გაუმჯობესა შედეგიანი გადაცემების რაოდენობით (8). ამის შემდეგ, ფრანგმა თავის თანამემამულე **პარკერსაც** დაუფარა, უკვე ნახსენებმა გრინმა და ნილმა კი სამქულიანები ააცილეს.

აბლანფა-შარლოტი 113:90

30:19, 30:24, 31:31, 22:16

ა: ჰარისი (20), სმიტი (18+5 მოხსნა), ჯონსონი (16+8 მოხსნა), კორვერი (13), ჰორფორდი (11+3 დაფარება).

შ: სეშენსი (16), უოკერი (13+6 პასი+3 ჩაჭრა), ტეილორი (12).

ნიუ იორკი-ლეიკერსი 116:107

41:27, 27:22, 25:31, 23:27

ნ-ი: ენტონი (30), ფელტონი (19+8 პასი), ჩენდლერი (18), სმიტი (18), ნოვაკი (12).

ლ: ბრაიანტი (31+10 მოხსნა+6 პასი), უორლდ პისი (23+6 მოხსნა), ჰოვარდი (20+7 მოხსნა), ებენქსი (15+5 მოხსნა), მიქსი (12).

პორტლენდი-სან ანტონიო 98:90

23:21, 26:24, 27:24, 22:21

პ: ლილარდი (29+7 მოხსნა+6 პასი), ოლდრიჯი (22+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰიქსონი (12+12 მოხსნა), ბებიტი (12), ბატუმი (11+8 პასი).

ს-ა: პარკერი (21+5 პასი), დანკანი (16+6 მოხსნა), სპლიტერი (12+7 მოხსნა), ჯინობილი (12+6 მოხსნა+7 პასი).



კობი ბრაიანტი

„მაიამის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და „ლეიკერსის" მცველი **კობი ბრაიანტი** ლიდერობენ ხმის მიცემის პროცედურაში, რომელმაც უნდა გამოავლინოს „ყველა ვარსკვლავის მატჩის" სასტარტო ხუთეულები. შეგახსენებთ, რომ 2013 წელს „ოლ სტარი" ჰიუსტონში გაიმართება.

ცნობისთვის, წელს გულშემატკივრები ხმას არ აძლევენ ცენტრის პოზიციას. წინასწარი შედეგები ასე გამოიყურება:

ოლ სტარს კობი და ლებრონი ლიდერობენ

აღმოსავლეთი

მცველები: დუეინ უეიდი („მაიამი") - 430 925; რაჟონ რონდო („ბოსტონი") - 382 613; დერონ უილიამსი („ბრუკლინი") - 211 426; კაირი ირვინგი („კლივლენდი") - 155 989; რეი ალენი („მაიამი") - 130 016.

ფორვარდები: ლებრონ ჯეიმსი („მაიამი") - 641 348; კარმელო ენტონი („ნიუ იორკი") - 573 112; კევინ გარნეტი („ბოსტონი") - 218 246; კრის ბოში („მაიამი") - 210 724; ტაისონ ჩენდლერი („ნიუ იორკი") - 151 744.

დასავლეთი

მცველები: კობი ბრაიანტი („ლეიკერსი") - 639 419; კრის პოლი („კლიპერსი") - 353 603; ჯერემი ლინი („ჰიუსტონი") - 298 319; ჯეიმს ჰარდენი („ჰიუსტონი") - 196 108; რასელ უესტბრუკი („ოკლაჰომა") - 143 437.

ფორვარდები: კევინ დურანტი („ოკლაჰომა") - 605 965; დუაიტ ჰოვარდი („ლეიკერსი") - 434 168; ბლეიკ გრიფინი („კლიპერსი") - 307 855; ტიმ დანკანი („სან ანტონიო") - 189 577; პაუ გასოლი („ლეიკერსი") - 139 868.

ჯექსონს ლეიკერსისა არ სჯერა

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ყოფილი მწვრთნელი **ფილ ჯექსონი** აცხადებს, რომ არ აპირებს კალიფორნიულ კლუბში დაბრუნებას. როგორც ლეგენდარული სპეციალისტი ამბობს, „ლეიკერსს" მის გარეშეც ეყოფა პოტენციალი იმისთვის, რომ შექმნილი სიტუაცია დაძლიოს.

„ლეიკერსში" დაბრუნებას არ ვაპირებ, - ამბობს ჯექსონი FoxSports-თან კომენტარში. - *გუნდს ისედაც დიდი შესაძლებლობები გააჩნია".*

თუმცა ფილი იმასაც ამბობს, რომ ასეთი შემადგენლობით და საქმისადმი მიდგომით კალიფორნიული გრანდი ჩემპიონი ვერ გახდება.

ფილ ჯექსონი

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

ევროპაში თქვეს: 2 იანვარს დაიწყება!



გასულ ოთხშაბათს გაიმართა მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი, რომელიც NHL-ში მოქმედ ლოკაუტს მიეძღვნა. მხარეები ერთმანეთს ნიუ ჯერსის ქალაქ ვუდბრიჯში შეხვდნენ. მაგრამ დიალოგი ერთი ერთზე ფორმატში არ მიმდინარეობდა, არამედ მხარეები ცალ-ცალკე განიხილავდნენ, საკამათო საკითხებს ფედერალურ შუამავლებთან. საბოლოოდ, ექვსსაათიან მოლაპარაკებებს შედეგი არ მოუტანია: არც ლიგას და არც პროფკავშირს არ გაუკეთებიათ ახალი წინადადება.

"ახალის თქმა არ შეგვიძლია. დასკვნის გამოტანა არ არის შესაძლებელი", - განაცხადა NHL-ის ვიცე-კომისარმა **ბილ დეილიმ**. *"რამდენიმე საკითხის განხილვა მოვასწარით, მაგრამ არ შემიძლია იმის თქმა, რომ რაიმე პროგრესს მივაღწიეთ"*, - დაადასტურა მოთამაშეთა პროფკავშირების შეფმა **დონალდ ფერმა**.

"შემიძლია ჩემი მხრიდან გითხრათ: ძალიან მომენატრა თამაში. არასოდეს მეგონა, რომ ყველაფერი ასე დიდხანს გაგრძელდებოდა, რადგან ასეთ სიტუაციაში ადრე არასოდეს ვყოფილვარ. როცა მივხვდი, რომ ლოკაუტი დროში იწელებოდა, ავნერვიულდი. ერთი რამ ვიცი: გულშემატკივრები ჩვენგან მეტ პატივისცემას იმსახურებენ, ისევე, როგორც თავად ჰოკეი. სიტყვებით მიჭირს იმის გამოხატვა, რამდენად მინდა ყინულზე დაბრუნება", - განაცხადა "ნიუ იორკ რეინჯერსის" მეკარემ **ჰენრიკ ლუნდკვისტმა**.

ამასობაში საკმაოდ დამაინტრიგებელი ინფორმაცია მოვიდა ბრიტანეთიდან. ჰოკეის ინგლისელმა აგენტმა **გარეტ ჩელმერსმა** ინტერვიუში განაცხადა, რომ NHL-ის ბევრ ჰოკეისტს, რომლებიც ლოკაუტის დროს ევროპაში არიან სათამაშოდ გადასულნი, მაქსიმალურად მოკლე დროში შინ დაბრუნების რეკომენდაცია მისცეს. *"ამ დღეებში ევროპის ბევრ კლუბთან მქონდა ურთიერთობა. ერთ-ერთმა გენერალურმა მენეჯერმა მითხრა, რომ NHL-თან მისი კონტაქტების თანახმად, ოკეანის გაღმა სეზონის დაწყების თარიღად 2 იანვარს განიხილავენ. ევროპაში გადასულ NHL-ის ბევრ მოთამაშეს აგენტებმა რეკომენდაცია მისცეს, უახლოეს დროში დაბრუნდნენ მშობლიურ კლუბებში და მზად იყვნენ რეგულარულის დასაწყებად. ამასთან, ბევრ ევროპულ კლუბს სურს, თავის რიგებში უფრო მეტი ამერიკელი ან კანადელი მიიწვიოს. ერთ-ერთი ევროპული კლუბის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლეგიონერების ხარჯზე ჰოკეის პოპულარობის ზრდამ დამატებითი შემოსავალი მოიტანა, რამაც უკვე სამმაგად აანაზღაურა NHL-ის მოთამაშეთა დაზღვევის ხარჯები"*, - განაცხადა ჩელმერსმა.

თუმცა ჩელმერსის ინფორმაციას არ ადასტურებს არც ერთი ჩრდილოამერიკული წყარო. უფრო მეტიც, უახლოეს დღეებში არც არის დაგეგმილი ლიგისა და პროფკავშირების შეხვედრა.

ჰოკეის ეროვნული ლიგის კომისარმა **გერი ბეტმენმა** განაცხადა, რომ ლიგა არ ჩაატარებს რეგულარულ ჩემპიონატს, თუ თითო გუნდს 48 მატჩზე ნაკლების გამართვა მოუწევს. ასე რომ, მხარეებმა უნდა იჩქარონ - სეზონის გადარჩენისთვის დრო თითქმის აღარ რჩება.

ათი მოსაშორებელია

ავტორიტეტულმა გამოცემა "ფორბსმა" ცოტა ხნის წინ ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ჰოკეისტების სია გამოაქვეყნა, ასევე დაასახელა ლიგის ყველაზე ძვირადღირებული კლუბები. საბოლოოდ, ჟურნალის ექსპერტები იმ აზრამდე მივიდნენ, რომ NHL-მ უარი უნდა თქვას დაახლოებით ათ გუნდზე. აქ ლაპარაკია არა მათი ადგილმდებარეობის შეცვლაზე, არამედ ლიკვიდაციაზე. შესაბამისად, ლიგა 20 გუნდამდე შემცირდება.

"ფორბსის" ექსპერტების აზრით, ის ფაქტიც, რომ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების თანახმად, კლუბები ლიგის საერთო შემოსავლის 50 პროცენტს მიიღებენ და არა 43-ს, როგორც ეს ადრე იყო, ვერ უშველის მათ, გახდნენ ნარმატებულები, რადგან თანხების დიდ ნაწილს იღებენ კანადური კლუბები, აგრეთვე რამდენიმე დიდი ამერიკული გუნდი, როგორიცაა, მაგალითად, "რეინჯერსი" ან "ჩიკაგო".

იხვებს ლიგაში არაფერი ესაქმებათ

"ლიგაში კლუბების რაოდენობის შემცირება ერთადერთი გამოსავალია. აშშ-ის სამხრეთსა და დასავლეთში ცოტანი არიან ჰოკეის გულშემატკივრები", - ამბობს **როჯერ ნოლი** - სტენფორდის უნივერსიტეტის სპორტული ეკონომისტი.

ნოლს მიაჩნია, რომ აუცილებელია NHL-დან ისეთი გუნდების მოშორება, როგორებიც არიან - "ფლორიდა", "ტამპა", "კაროლინა", "ნეშვილი", "ფინიქსი", "კოლამბუსი", "ანაჰაიმი", "სენტ ლუისი" და "სან ხოსე".

ასევე საჭიროა "ნიუ ჯერსისა" და "აილენდერსის" მოკვეთა, რადგან სამი კლუბი ("რეინჯერსთან" ერთად) ნიუ იორკის რეგიონში - ძალიან ბევრია.

"კალიფორნიისა და სხვა სამხრეთული შტატების გუნდებს არ აქვთ განსაკუთრებული მოგება ბილეთების რეალიზაციიდან და სატელევიზიო რეიტინგებიდან. გამონაკლისია მხოლოდ "ლოს ანჯელეს კინგზი", რომელიც ელიტურ ქალაქს წარმოადგენს", - დაამატა ნოლმა.

თუმცა ლიგა არასოდეს დათანხმდება კლუბების შემცირების ასეთ მასიურ პროცესს (უფრო მეტიც, დადის ჭორები, რომ ლიგა 32 გუნდამდე უნდა გაფართოვდეს) და ამ საკითხში პროფკავშირებიც NHL-ის ეთანხმება, რადგან კლუბების შემცირება სამუშაო ადგილების დაკარგვას ნიშნავს.

ქრივი

პაკიაო აპრილში დაბრუნდება

მენი პაკიაო

რვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ფილიპინელი **მენი პაკიაო** *მზადაა რინგზე 2013 წლის აპრილში ან მაისში დაბრუნდეს. „პაკმენს" არ აღელვებს, თუ ვინ იქნება მისი მეტოქე, მისთვის მთავარია, რაც შეიძლება, მალე ავიდეს რინგზე. უფრო ადრე, პრომოუტერულმა კომპანია Top Rank-მა სავარაუდო თარიღად 20 აპრილი დაასახელა, პოტენციურ მოწინააღმდეგედ - ამერიკელი* **ბრენდონ რიოსი**. *„მე მოკრივე ვარ. ვინც არ უნდა დააყენოს ჩემს წინ პრომოუტერმა, მე ამისთვის მზად ვიქნები, - ამბობს პაკიაო. - ვაპირებ ვარჯიშს იმისთვის, რომ კიდევ უფრო ძლიერი გავხდე. მინდა, ჩემმა გულშემატკივრებმა ძველი და აგრესიული მენი პაკიაო იხილონ. თუმცა ახლა ჩემი სტილი მეტოქეზეა დამოკიდებული".*

მაგრამ პაკიაოს მწვრთნელს **ფრედი როუჩს** *მიაჩნია, რომ მის შეგირდს უფრო ხანგრძლივი დასვენება ესაჭიროება. „აპრილი ან მაისი - ძალიან ადრეა, - ამბობს როუჩი. - უკვე შევეგუე იმას, რაც მარკესთან ბრძოლაში მოხდა. შემდეგ საუბარი მქონდა მენისთან იმის შესახებ, თუ რა იქნება მომავალში. საბოლოოდ ჯერ არაფერი გადაგვწყვეტია, მაგრამ როცა ასეთ მძიმე დარტყმას იღებ, სავარაუდოდ, ტვინის შერყევა გარდაუვალია. მე არ ვიფიქრებდი სექტემბრამდე რინგზე გასვლაზე. ეს ყველაზე უახლოეს ვარიანტად მიმაჩნია".*

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მაჯრი

პოლონეთი-მაკედონია	4:1

იტალია

სერია B

ლივორნო-ტერნანა	2:1

სერია C1/A

რეჯინა-ტრაპანი	1:3

ესპანეთი

II დივიზიონი

ლუგო-რეალ კასტილია	3:2

გერმანია

ბაიერნი-ბორუსია (მ)	1:1

გერმანია

II ბუნდესლიგა

აუე-კოტბუსი	3:0
კაიზერი-აალენი	0:1
ზანდჰაუზენი-კიოლნი	0:0

რეგიონალლიგა (დას)

ფორტუნა (კ)-ვუპერტალი	1:1

საფრანგეთი

რენი- ვალანსიენი	2:0

II დივიზიონი

ანჟერსი-ოსერი	2:1
არლი-ტური	2:2
შატორუ-კლერმონი	0:0
გფკო აიაჩო-ლავალი	3:1
ჰავრი-ლე მანი	1:0
მონაკო-ნიმი	1:1

ნაციონალი

ამიენი-ლე ჰუარი	3:0
კარკეფუ-ფრეჟუსი	2:1
ორლეანი-ვანი	0:1
პარიზი-ლუზენაკი	2:2
რედ სტარი-კრეტეი	0:1
რუანი-კევილი	1:0

პოლანდია

ტვენტე-ჰერაკლესი	3:2

II დივიზიონი

ალმერი-დორდრეჰტი	2:3
კამბური-ეძსელსიორი	3:2
გრაადსხაპი-დენ ბოში	3:0
ეინდჰოვენი-აპელდოორნი	1:6
ფორტუნა-მაასტრიხტი	1:2
სპარტა-ტელსტარი	3:3
ტოპ ოსი-ემენი	2:2
ვეენდამი-ჰელმონდი	3:1

ბელგია

II დივიზიონი

ვიზე-სტ. ნიკლაასი	0:0

პორტუგალია

სეტუბალი-პორტუ	გადაიდო

თურქეთი

ესკისეჰირი-ბურსა	2:2

უელსი

ძონეპსი-პრესტატინი	გადაიდო

ავსტრალია

სენტრალი-მელბურნ ჰ	2:0
პერტი-ნიუკასლი	3:0

აზერბაიჯანი

ხაზარი-ნეფთჩი	2:1

კალათბურთი

ევროლიგა

კახა ლაბორალი-ცედევიტა	97:70
უალბირისი-ეფესი	71:53
ოლიმპიაკოსი-მილანი	82:81

საფრანგეთი

როანი-ვილერბანი	67:61

ჰოკეი

ავსტრია

ალბა-კლაგენფურტი	2:1
ვილახი-ლინცი	4:2
დორნბირნი-ზაგრები	2:4
ინსბრუკი-ზნოიმო	1:2
ოლიმპია-გრაცი	3:0

გერმანია

აუგსბურგი-ვოლფსბურგი	6:3
ჰანოვერი-კრეფელდი	0:3
დიუსელდორფი-კიოლნი	2:3
იზერლონი-მიუნხენი	4:2

TV პროგრამა

15 დეკემბერი. შაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XVII ტური. ბაიერნი-ბორუსია (მ).
12:00 ყოველკვირეული ტელეფურნალი - FOOTBALL MONDIAL.
12:30 ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტურის წინ.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 პოლანდიის ჩემპიონატი. XVII ტური. ტვენტე-ჰერაკლესი.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტურის წინ.
16:45 ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტური. ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტური. მანჩესტერ იუნ-სანდერლენდი (LIVE).
21:00 ყოველკვირეული ტელეფურნალი - FOOTBALL MONDIAL.
21:30 გერმანიის ჩემპიონატი. XVII ტური. შალკე-ფრაიბურგი (LIVE).
23:45 პოლანდიის ჩემპიონატი. XVII ტური. ნიმეგენი-ეინდჰოვენი (LIVE).

GMG-სპორტი 1

10:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
11:30 ყოველკვირეული ტელეფურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-ფილადელფია.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ედინბურგი-რასინგი.
17:35 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ოსპრეი-ტულუზა (LIVE).
19:40 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ლენსტერი-კლერმონი (LIVE).
22:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ალსტერი-ნორთჰემპტონი (LIVE).
00:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-ფილადელფია.

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მონაკო.
13:30 კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. X ტური. ბარსელონა-ცსკა.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მონაკო.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XVII ტური. ლევერკუზენი-ჰამბურგი (LIVE).
20:30 ყოველკვირეული ტელეფურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
21:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. კიელი-ატლეტიკო.
23:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
23:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მონაკო.

I არხი

14:00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

16 დეკემბერი. კვირა

GMG-ფეხბურთი

10:00 პოლანდიის ჩემპიონატი. XVII ტური. ნიმეგენი-ეინდჰოვენი.
12:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. XVII ტური. ლევერკუზენი-ჰამბურგი.
16:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
17:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
17:30 ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტური. ტოტენჰემი-სუონსი (LIVE).
19:30 ყოველკვირეული ტელეფურნალი - FOOTBALL MONDIAL.
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტური. ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი.
22:00 პოლანდიის ჩემპიონატი. XVII ტური. ტილბურგი-აიაქსი.
00:00 გერმანიის ჩემპიონატი. XVII ტური. ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი.

GMG-სპორტი 1

10:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ოსპრეი-ტულუზა.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ბოსტონი.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
16:30 კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. X ტური. ბარსელონა-ცსკა.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XVII ტური. ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XVII ტური. ვერდერი-ნიურნბერგი (LIVE).
22:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ბოსტონი.
00:30 ყოველკვირეული ტელეფურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მონაკო.
13:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მონაკო.
16:45 რაგბი. ჰეინეკენის თასი. კასტრი-გლაზგო (LIVE).
19:00 რაგბი. ჰეინეკენის თასი. სარაცენსი-მანსტერი (LIVE).
21:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-დენვერი.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მონაკო.

ამინდის პროგნოზი

თბილისი	0	2	(მცირე თოვლი)
ქუთაისი	1	4	(თოვლი)
ბათუმი	2	5	(თოვლჭყლაპი)
ფოთი	1	4	(თოვლჭყლაპი)
ზუგდიდი	0	3	(თოვლი)
გორი	-2	1	(თოვლი)
თელავი	-2	1	(თოვლი)
სილაღი	-2	1	(მცირე თოვლი)
ბაკურიანი	-8	-2	(თოვლი)
ბორჯომი	-6	-1	(თოვლი)
მესტია	-7	-2	(თოვლი)

ვალუტის კურსი

1 ევრო	2.1762
1 ამერიკული დოლარი	1.6629
1 ბრიტანული ფუნტი	2.6826
100 რუსული რუბლი	5.4185

ჩოგბურთი

რაფაელ ნადალი

1.2 მილიონი ნადალს

გრანდიოზული გეგმები აქვთ ჩილეს ქალაქ ვინია-დელ-მარის ტურნირის ორგანიზატორებს. ისინი გრუნტისსაფარიანი კორტების მეფედ აღიარებული **რაფაელ ნადალის** მინვევას აპირებენ. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, ორგანიზატორები საპრიზო ფონდის 2.5 მილიონამდე გაზრდას გეგმავენ, პირადად ნადალს კი 1.2 მილიონ დოლარს გადაუხდიან ტურნირში მონაწილეობისთვის.

ვინია-დელ მარის ტურნირი 4 თებერვალს აიღებს სტარტს. ნადალს გრუნტის სეზონში უკვე დაგეგმილი აქვს აკაპულკოს ტურნირზე გამოსვლა და არ გამორიცხავს სამხრეთამერიკული სერიის სხვა შეჯიბრებებზე თამაშს. სწორედ ამ სერიაში შედის ჩილეს ტურნირიც.

...

ამასობაში, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** და არგენტინელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ** ბოლო ორ დღეში მეორე საჩვენებელი შეხვედრა გამართეს. ამჯერად მატჩი ბუენოს აირესში გაიმართა და ის ორ სეტში შვეიცარიელმა მოიგო - 6:4, 7:6(1). შეგახსენებთ, რომ წინა დღეს, დელ პოტრომ სამ სეტში გაიმარჯვა.

ახლა სამხრეთამერიკულ ტურნეში მყოფი ფედერერი კოლუმბიაში გადაინაცვლებს, სადაც 15 დეკემბერს, ბოგოტაში ფრანგ **ჟო-ვილფრიდ ცონგას** შეხვდება.

რეკონსტრუქცია 340 მილიონად

საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჟან გაშასენმა** ჟურნალისტებს მოუყვა პარიზში როლან გაროსის კომპლექსის რეკონსტრუქციის შესახებ.

„რეკონსტრუქცია 2013 წელს დაიწყება და 2018 წლამდე გაგრძელდება, - განაცხადა გაშასენმა „ეკიპისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. - ამჟამად, სამუშაოების საერთო ღირებულება 340 მილიონ ევროდ არის შეფასებული, ეს კი 70 მილიონით მეტია პროექტის თავდაპირველ ფასზე“.

„უახლოეს დროში ჩვენ გველის რთული წლები, ასე რომ, ყველამ უნდა გავიჭირვოთ“, - დაამატა ფედერაციის პრეზიდენტმა.

შარაპოვა და შუგარპოვა

მარიას ახალი პრეზენტაცია

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, 25 წლის რუსმა **მარია შარაპოვამ** ლოს ანჯელესში საკუთარი საკონდიტრო ხაზის - Sugarpova-ს ოფიციალური პრეზენტაცია მოაწყო. აქამდე ჩოგბურთელის სახელობის კანფეტები დასავლეთ სანაპიროზე არ იყიდებოდა.

პრეზენტაცია გაიმართა საკონდიტრო მაღაზია It'Sugar-ში, რომელიც საავაჭრო ცენტრ Universal City Walk-შია განთავსებული.

ცერემონიის შემდეგ მარია შარაპოვამ მცირე ავტოგრაფ-სესია მოაწყო გულშემატკივრებისთვის.

ფორმულა 1

მერსედესმა ლეგენდა დაკარგა

„მერსედეს-ბენცის“ სპორტული განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე 22-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ **ნორბერტ ჰაუგმა** 2012 წლის ბოლოს კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

ჰაუგი Mercedes-Benz Motorsport-ს 1990 წლის პირველი ოქტომბრიდან ედგა სათავეში და ამ დროის განმავლობაში „მერსედესმა“ და მისმა პარტნიორმა კომპანიებმა მსოფლიოს ექვსი ჩემპიონატი მოიგეს ფორმულა 1-ში და 87 რბოლაში აიღეს მთავარი პრიზი.

DTM-ის სერიაში „მერსედესმა“ ჰაუგის მმართველობის პერიოდში 32 ტიტული მოიპოვა. მთელი ამ დროის განმავლობაში კომპანიის სპორტული განყოფილების წარმომადგენლებმა სხვადასხვა სერიაში 986 რბოლა ჩაატარეს და აქედან 439 მოიგეს (45.4 პროცენტი).

ნორბერტ ჰაუგი

„მინდა მადლობა გადავუხადო მსოფლიოს საუკეთესო საავტომობილო კომპანიას 22-წლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის. განსაკუთრებული მადლობა უნდა ვუთხრა „მერსედესის“ ხელმძღვანელობას ნდობისა და მოქმედების თავისუფლებისთვის.

1991 წლიდან მოყოლებული, ჩვენ ძალიან ბევრს მივაღწიეთ, უამრავი გამარჯვება მოვიპოვეთ, რაც მთელი კომპანიის დამსახურებაა. სამწუხაროდ, ფორმულა 1-ში საქარხნო გუნდით დაბრუნების შემდეგ, მხოლოდ ერთი გრანპრი მოვიგეთ, მაგრამ სწორი მიმართულებით ვმოძრაობდით, რაც მომავალში დიდი გამარჯვებების წინაპირობაა. ჩვენი გუნდი და პილოტები ყველაფერს გააკეთებენ დასახული მიზნის მისაღწევად“, - განაცხადა ჰაუგმა.

ბოსებმა ალონსო აირჩიეს

ფერნანდო ალონსო

სეზონის დასრულების შემდეგ, ბრიტანული Autosport-ის ჟურნალისტები გუნდების ხელმძღვანელთა ტრადიციულ გამოკითხვას ატარებენ. საჯინიბოების ბოსებს სთავაზობენ სეზონის საუკეთესო პილოტთა ათეულის შედგენას.

კენჭისყრა ფარულია და პილოტებს ქულები ენიჭებათ ტრადიციული სქემით: 25-18-15-12-10-8-6-4-2-1.

ბოლო წლებში, ამ გამოკითხვაში მხოლოდ **სებასტიან ფეტელი** ან **ფერნანდო ალონსო** იმარჯვებდნენ. 2009 წელს, გუნდების ხელმძღვანელებმა უპირატესობა ფეტელს მიანიჭეს, 2010 წელს - ალონსოს, 2011 წელს - ისევ ფეტელს. ახლა ისევ ესპანელის ჯერი დადგა, თანაც, „ფერარის“ პილოტმა დიდი უპირატესობით აჯობა კონკურენტებს.

გამოკითხვამ ასეთი შედეგები მოიტანა:

1. ფერნანდო ალონსო	269
2. სებასტიან ფეტელი	198
3. ლუის ჰემილტონი	177
4. კიმი რაიკონენი	176
5. ჯენსონ ბატონი	104
6. მარკ უებერი	66
7. ნიკო ჰიულკენბერგი	50
8. ნიკო როსბერგი	30
9. სერხიო პერესი	30
10. ფელიპე მასა	27

„ჩემთვის სასიამოვნოა, რომ სწორედ გუნდების ბოსებმა მაღიარეს საუკეთესოდ, - აღნიშნა ალონსომ. - *მომავალ წელს ტიტულის მოგებას ვისურვებდი, საჯინიბოების ხელმძღვანელებმა კი სხვა ვინმე დაასახელონ თავიანთ რჩეულად“.*

ექლსტოუნი: ათი გუნდიც საკმარისია

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, ფორმულა 1-ის გენერალურმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** აღნიშნა - 2013 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში, შესაძლოა, 19 რბოლა ვიხილოთ. ახლა კი ბრიტანელმა კიდევ ერთი საინტერესო განცხადება გააკეთა - მას ურჩევნია პელოტონში არა 12, არამედ ათი გუნდი იყოს. სხვათა შორის, უკვე ცნობილია, რომ 2013 წლის სეზონში მონაწილეობას ვერ მიიღებს ესპანური HRT, რომელიც ბანკროტად გამოცხადდა.

„ჩემთვის უფრო მისაღებია, რომ ჩემპიონატში ათმა გუნდმა მიიღოს მონაწილეობა, - ამბობს Motorsport-თან კომენტარში ექლსტოუნი. - *ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი 12 გუნდის. რაც ნაკლებია საჯინიბო, მით იოლია მუშაობა. რაც შეეხება HRT-ს, არ მგონია, რომ ვინმემ მოისურვოს ამ გუნდის გადარჩენა“.*

...

როგორც ცნობილია, ფრანგულ საჯინიბო „ლოტუსში“ ერთი პილოტის ადგილი ვაკანტურია და გუნდის ხელძღვანელობა დღემდე ვერ ჩამოყალიბდა ამ საკითხთან დაკავშირებით.

გუშინ, GP2-ის სერიის ჩემპიონმა **დავიდე ვალესეკიმ** მეტად თამამი განცხადება გააკეთა: ის საკუთარ თავს ფავორიტად მიიჩნევს „ლოტუსში“ **რომენ გროსჟანის** ადგილის დასაკავებლად. მისი სიტყვებით, ჯერ ნაადრევია რაიმე კონკრეტულზე ლაპარაკი, მაგრამ დავიდე სერიოზულად ფიქრობს ფორმულა 1-ში გადასვლაზე.

„გროსჟანის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ თუ მას „ლოტუსიდან“ გაუშვებენ, მის ადგილზე მე ვიქნები ფავორიტი, - აცხადებს ვალსეკი. - *მაგრამ ჯერ ნაადრევია ამაზე ლაპარაკი. ჩემი მიზანი ფორმულა 1-ში მოხვედრაა და იმედია, მომეცემა ჩემი შესაძლებლობების დამტკიცების საშუალება“.*

შეგახსენებთ, რომ „ლოტუსში“ გარანტირებული კონტრაქტი მხოლოდ ფინელ **კიმი რაიკონენს** გააჩნია.

ბერნი ექლსტოუნი

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

9 772233 382000

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**